№ 128

ოთხშაბათი, 27 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 128

ოთხშაბათი, 27 ივლისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 20 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., ყოველი განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივლისიდან წლის დამლევამდის 5 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად. **ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5. **საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

მარიამ ნიკოლოოზის ასული, ნიკოლოოზ კონსტანტინეს ძე, სოფიო დავითის ასული ფურცელაძენი და ნინო კონსტანტინეს ასული ნატროევისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ გარდაცვალებასა შემდეგ მძიმე და ხან-მოკლე ავადმყოფობისა: პირველი—ძვირფასის და დაუვიწყარის ქმრისა, მეორე და მეოთხე—მამისა და მესამე—მამამთილისა

კონსტანტინე ლუარსაბის ძის ფურცელაძისას.

გამოსვენება იქნება ხუთშაბათს, 28 ამა ივლისს, დილის 9 საათზე. სოფ. მერეთში, გორის მაზრა. ცალკე მოწვევა არ იქნება.

ახალი წიგნი

ეროვნული ენა

თხზ. პეტრე სურგულაძისა

გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.

დაიბეჭდა და იყიდება „ივერიის" რედაქციის კანტორასა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში.

დოქტორი მედიცინისა

ვლ. ი. ინაშვილი

მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდე და საღამოთი 6—8 საათამდე შიგნეულის, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ.

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 31. (10—10)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. უ ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ხ. კ. აბიანცი—შინეგან აკადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

რ ა ა მ ბ ა ვ ი ა?

—

მოგეხსენებათ, ყოველ ცოტაოდენ განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრების მრავალ-ფეროვანობას, ინტერესების წინააღმდეგობას ეფარდება ხალხის პარტიებად დანაწილება. ყველა პარტიები შეგვიძლიან ორ ჯგუფად დავყოთ. პარტია არსებულის დამცველი, წინსვლის წინააღმდეგი, უფრო წარსულისაკენ მაცქერალი და იქ იდეალების მძებნელი—პარტია კონსერვატიული. მეორე პარტია—მომავალისთვის მებრძოლი, ძველის დამრღვეველი და ახალის შემქნელი—პარტია რადიკალური. პარტიების არსებობა აქ იწვევს, რასაკვირველია, ბრძოლას. მაგრამ ეს ბრძოლა ხდება გარკვეულ ფარგალში. არის საზღვარი, რომელიც სავალდებულოა ყველა პოლიტიკურ პარტიებისათვის. არის საფუძველი სახელმწიფო წყობილებისა, არის უფლებრივი ურთიერთობის საზოგადოებრივი მინიმუმი, რომელიც ყველა პარტიისათვის ერთნაირადვე სავალდებულო და დასაცველია. ეს—უფლებრივი წყობილების საფუძველია.

მაგრამ იქ, სადაც უფლებრივი წყოფილება არაა, თუ ადამიანი მხოლოდ სხვისი ქვეშევრდომია, მონაა და არა თავისუფალი მოქალაქე, იქ არავითარ კონსერვატიულ პარტიაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ვინც უუფლებო, დესპოტიურ სახელმწიფოში არსებულ წყობილების დამცველად გამოდის, ის ამით ველურობას, ძალმომრეობას იცავს, იცავს ისეთ პირობებს, რომელიც ხალხს რკალივით შემორტყმიან და სულს უხუთავენ. მაშ „კონსერვატორობა" ასეთ შემთხვევაში არა მოქალაქობრიობაა, ის წინააღმდეგია საზოგადოებრივი არსებობის ელემენტარულ პრინციპებისა.

ბოლო დროს რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობის თანდათანმა ზრდამ აღმოაჩინა ისეთი ელემენტების არსებობა, რომელნიც ყოველ მხრივ ანტისაზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენენ. გეხსომებათ, რომ რამდენსამე დღის წინად ტფილისში უმნიშვნელო ამბავი მოხდა. რაღაც ნაირად ჩაიში რამდენიმე მუშას გულის ამრევი წამალი მოყვა. ხელად ატყდა მთელი ჯგუფი, გვიშველეთ, მოგვწამლესო. მთელ ქვეყანას მოფინეს ტელეგრამა, რომელიც ალბად წინდაწინ იყო შედგენილი, რადგან აცხადებდა: მოიწამლა ოცი, მათში ათი უკვე მოკვდაო. არამც თუ ათი, ერთი კაციც არ მომკვდარა. მაშ რაღად დასჭირდათ ტყუილი?

ნიჟნი-ნოვგოროდში მცხოვრებთა ერთი ყრუ ნაწილი მეორეს მიესია და ცემა-ტყეპა დაუწყო. ბალაშოვში სცემეს ექიმებს. რატომ? იმიტომ, რომ ეს განათლებული ხალხი ცდილობს მოქალაქეობრივი თავისუფლება მაინც მოიპოვოს. —როგორ გაბედეთ ესა,—სწვდნენ მათ ყელში. ყველაფერ ამას კი ჩადიან „პატრიოტობის" სახელით და აქ განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ ეს „პატრიოტები" არ არიან „მზრუნველობას" მოკლებულნი.

სირცხვილი იქნებოდა, რომ რუსეთს საქართველო ჩამორჩენოდა. ჩვენშიაც გაჩნდნენ რაინდები, რომელნიც, რამდენიც დღე მიდის, იმდენად უფრო თავს ისახელებენ. განსაკუთრებით გვასახელა ამ მხრივ ქართლმა. ამ დალოცვილ კუთხეში ამ რაინდებისაგან გავლაც კი საშიში შეიქნა. როცა ქართლის ამბებს ვკითხულობ, უნებლიედ გამახსენდება ბრემის წიგნიდან „ცხოველთა ცხოვრებიდან" ერთი ამბავი. სტამბოლში აურიცხელი ძაღლია ქუჩებში. ამ ძაღლებს მთელი ქალაქი უბნებად გაუნაწილებიათ. და ვაი იმ ძაღლს, რომელიც გაბედავს თავის უბნს გაშორდეს. – მაშინვე მეორე უბნის ძაღლები პირს სტაცებენ და ნაკუწ-ნაკუწად აქცევენ. რისთვის? აქ კიდევ გასაგებია. აქ უბრალო, მკაცრი ბრძოლაა არსებობისთვის. გაფთრებულ ცხოველს, შიმშილით გამწარებულს, ის ხომ არ მოეთხოვება, რაც ადამიანს? საუბედუროდ, ხშირად ადამიანი ასეთ ცხოველს მოგვაგნებს. ვერ ამიხსნია, რა უნდათ იმ ვაჟბატონებს, რომელნიც დღეს ქართლში დათარეშობენ? სცემეს ერთს უდანაშაულოდ, თავი გაუტეხეს მეორეს, მათრახები გადაუსვეს მესამეს, მეოთხის სახლს თოფები დაუშინეს. რა ამბავია? რამ აგამხედრათ ისე, რომ ადამიანს იქ გავლაც აღარ შეუძლია, სადაც თქვენ ბუნაგი დაგიდვიათ? ნუ მტრობთ ხალხს, თავი დაანებეთ მხეცურ საქციელს. გახსოვდეთ ხალხის ხმა, გახსოვდეთ, რომ ხალხის მტერს ხალხში არა აქვს ადგილი!..

პ. სურგულაძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

25 ივლისი.

კიევი, 25 ივლისი. კიევის უნივერსიტეტში მიღებულია 400-მდე თხოვნა გიმნაზიებში სწავლადამთავრებულ ყმაწვილებისა. სტუდენტები 10 აგვისტომდის მიიღებიან. შემდეგ კურსებზე გადაყვანის შესახებ ათასზე მეტი თხოვნაა შეტანილი. საერთო რიცხვი სტუდენტებისა 2,000-ს აჭარბებს.

მოსკოვი, 25 ივლისი. მოვიდა სენატორი პოსტოვსკი საზოგადო საერობო კრებების შესახებ მოსალაპარაკებლად. პოსტოვსკიმ პირადად მოსალაპარაკებლად მოსაწვევი ბარათები გაუგზავნა საგუბერნიო გამგეობის თავმჯდომარეს, წევრებს და პროფესსორებს ტრუბეცკოისა, გერცენშტეინსა და მანუილოვს.

რიო-დე-ჟანეირო, 25 ივლისი. დეპუტატთა პალატამ გადასწყვიტა: დაუნიშნოს პრემიად 10 მილიონი დოლლარი ,ეროვნების განურჩევლად, იმ კაცს ვინც გამოიგონებს ნამდვილ საშუალებას ჭლექისა და გულ წინააღმდეგ.

ბერლინი, 25 ივლისი. თუ შვეცია დასთანხმდა, ადვილად შესაძლებელია, ნორვეგიის ტახტის მემკვიდრედ დანიის პრინცი, კარლოსი დასახელონ. თუ შვეცია წინააღმდეგი გახდება, ნორვეგიაში რესპუბლიკას გამოაცხადებენ.

ლონდონი, 25 ივლისი. საფრანგეთის 18 გემისაგან შემდგარი ესკადრა მოვიდა და პორტსმუტში დადგა.

პეტერბურგი, 25 ივლისი. მიწად-მოქმედების და მიწად-მფლობელობის მთავარი გამგეობა სახელმწიფო ტყეების შემოსავლის დაქვეითების მიზეზთა გამოკვლევას შეუდგა.

სახალხო განათლების სამინისტრომ დაადგინა: ვინც საშუალო ტეხნიკურ სასწავლებლის ოთხი კლასი გაუთავებია და უმაღლეს, სპეციალურ სასწავლებელში შესვლას მოიწადინებს, მათემატიკისა, ფიზიკისა და რუსულის ენიდან საკონკურსო ეგზამენის დაჭერის მოწმობისა და ატესტატის გარდა, უნდა წარადგინოს აგრეთვე რეალურ სასწავლებლის ან გიმნაზიის მოწმობა, იმის შესახებ, რომ განვლილ კურსის მიხედვით რუსულის ენის ცოდნა აქვსო.—მომავალ აგვისტოში, იაროსლავის საეპარქიო სამღვდელოების განზრახულ კრებაზე, კითხვას აღძრავენ იმის შესახებ, რომ გაუქმდეს სემინარიაში კლერიკალური ხასიათი და იგი საშუალო, საზოგადო განათლების სასწავლებლად გადაკეთდესო.

ნოვოროსიისკი, 25 ივლისი. შაბათს სადგურის ორსავე მხარეს თითქმის ერთსა და იმავე დროს ცეცხლი წაეკიდა. ზარალი რვა ათასი თუმანი იქნება. ქალაქი გენერალ ბაბიჩს ჩააბარეს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

25 ივლისი

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. „გერალდ"-ის სიტყვით იაპონია ისეთ სახელმწიფოს შექმნას ესწრაფვება, რომელშიაც მოჰყვება კორეია, მანჯურია და ციმბირის ერთი ნაწილი. ამ სახით, იაპონიასა სურს აზიის ხმელეთის ჩრდილო მხარეში გაბატონდეს. თუ საზავო თათბირი ამ გეგმის განხორციელებას ხელს არ შეუწყობს, ზავის ჩამოგდება შეუძლებელი შეიქნებაო. გაზეთების სიტყვით იაპონიის მიერ განზრახულ სამფლობელოს მიჯნებს მომავალს საზავო თათბირობაზე დაასახელებენო.

ნიუ-პორტი, 24 ივლისი. (შტატი როდაილენდი). რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულნი გემით მოვიდნენ და პორტსმუტს გაემართნენ.

ვიტტე ხმელეთზე გადმოვიდა და პორტსმუტისაკენ რკინის გზით გაემგზავრა. გვარწმუნებენ, რომ იაპონიას განზრახვა არა აქვს დიდი კონტრიბუცია მოითხოვოსო. სამაგიეროდ, იგი ტერიტორიის დათმობას მოითხოვს: მანჯურიის წარმომადგენლობას მიითვისებს, ციმბირის ერთ ნაწილსაც შეირჩენს, იმ ნაწილს, რომელიც იაპონიის ზღვის სანაპიროს შეადგენს და ვლადივოსტოკის სავსებით დათმობას ან ნეიტრალურ პორტად გამოცხადებას მოისურვებსო. ამერიკა ხმის ამოუღებლად დასთანხმდა იაპონიის მოთხოვნილებაზე, რადგან იაპონიამ დაარწმუნა იგი, რომ შორეულ აღმოსავლეთის კარი ყველასთვის ღია იქნებაო.

პეტერბურგი, 25 ივლისი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენ. ლინევიჩისა: **პირველი**. 22 ივლისის თარიღით: „ხაილუნჩენის რაიონში ჩვენი ერთი რაზმი, 20 ივლისს, გაემართა სოფლებ ნანშანჩენძისა და სუიციულუნჩავანისკენ. ამ სოფლების სიახლოვეს რაზმს მტერმა თოფი დაუშინა, მაგრამ ნაშუადღევის პირველ საათზე იაპონელები იძულებულნი გახდნენ, სოფლებისთვის თავი დაენებებინათ და უკან დაეხიათ. ჩვენმა რაზმმა მტერს გვერდიდან შემოვლა დაუპირა და ამით მტერი აიძულა, წინა პოზიცია დაეცალა და ძალზე გამაგრებულს ადგილისკენ დაეწია. 21 ივლისს, დილის 8 საათზე, ჩვენმა რაზმმა წინ წაიწია. მას არტილერია ეხმარებოდა. იაპონელების რაზმის მარცხენა ფრთესთვის გვერდიდან უნდა შემოევლოთ, მაგრამ არტილერიითა და ენერგიულის მოქმედებით უკუქცეულ იქმნენ. ჩვენმა რაზმმა თავის მიზანს მიაღწია და უზარალოდ, წესიერად, ოდნავ უკან დაიხია. მას შემდეგ მტერმა თვითონ მოიტანა იერიში. მაგრამ მალე უკან დაიხია. კაზაკების ერთმა ასეულმა, 18 ივლისს, წინ წაიწია, იაპონელების სადარაჯო რაზმს მიუახლოვდა და თოფის სროლა აუტეხა. 20 ივლისს, გათენებისას, ჩვენმა ერთმა რაზმმა სოფელ ლანგუნჩენძის მიაღწია და მტრის სადარაჯო რაზმს უკან დაახევინა". **მეორე**. 23 ივლისის თარიღით: ცნობა მივიღე, რომ იაპონელებს დეკასტრში ხიდი დაუნგრევიათ და ზღვაში გასულან".

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. ვიტტეს ამალის ერთმა წევრმა განაცხადა, რუსეთი არც თავის ტერიტორიას დაუთმობს და არც კონტრიბუციას გადაიხდისო. იაპონელები ამბობენ, არავინ არ იცის, რა გვარი იქმნება ჩვენი მოთხოვნილებაო. ზავის ჩამოგდება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა რუსეთი თავის გულის-თქმას აღიარებსო. ვიტტე, როზენი, კომურა და ტაკახირა გერმანულ ენაზე მუსაიფობდნენ. პორტსმუტში დელეგატებს საგანგებო დარაჯნი იცავენ.

ვაშინგტონი, 25 ივლისი. ერთი გამოჩენილი და იაპონიასთან ძალიან დაახლოვებული დიპლომატი ამტკიცებს, იაპონია უთუოდ სახალინის დათმობასაც მოითხოვსო.

ბერლინი, 25 ივლისი. როგორც აქაურ უმაღლესს წრეებში ამბობენ, ზავის შესახებ მოლაპარაკება, შეიძლება, კარგად გათავდეს, რადგან რუზველტი პირადად საქმეში ჩაერია და ამით ამ საქმეს ხელი შეუწყო.

ნიუ-კასტლი, 25 ივლისი. ორივე მხრის რწმუნებულებს ძალიან ნაკლებად ეტყობათ საქმის კეთილად დაბოლოვების სურვილი. ამერიკელებს მაინც იმედი აქვთ, რომ რუზველტი ზავის საქმეს ბოლომდის მიიყვანს.

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. როდესაც ვიტტე ნიუ-პორტში გადავიდა, სქელი ნისლი ჩამოწვა. „მაიფლოუერ"-მა და „დოლფინ"-მა ზღვაში ღუზები ჩაუშვეს. რწმუნებულნი პორტსმუტში მხოლოდ დღეს მივლენ. კონფერენცია უფრო გვიან დაიწყება. ნიუ-პორტიდან ვიტტე საგანგებო მატარებლით ბოსტონს ჩავიდა. ნიუ-პორტში როზენი ცოტა ხნით გადმოვიდა, მერე ისევ გემზე დაბრუნდა და გზას გაუდგა. შაბათის ამბები პეტერბურგში დეპეშით დაწვრილებით აცნობეს. იაპონელებმაც ზღვის პირას მოიყარეს თავი და ელიან, ნისლი როდის გაიფანტებაო. იმათაც გაჰგზავნეს ტოკიოში დეპეშები.

ვლადივოსტოკი, 25 ივლისი. ჩრდილოეთ კორეიაში, როგორც ხმები დადის, იაპონელებს ზარბაზანი დაუშენიათ რუსებისათვის, 100 ყუმბარა უსროლიათ და მერე უკან დაბრუნებულან.

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. დილის ხუთ საათზე აქ რწმუნებულები მოვიდნენ. ვიტტემ და როზენმა საღამო ნაპირზე გაატარეს. ვიტტე საღამოს 10 საათზე ბოსტონში წავიდა; ბოსტონიდან რკინის გზით პორტსმუტში მივა.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ხე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

—

გერმანიის იმპერატორის რჩევა. გაზეთ „ჟურნალში"-ში დაბეჭდილია საინტერესო კორესპონდენცია პეტერბურგიდან. კორესპონდენტი ირწმუნება, რომ ამას წინად, როცა რუსეთისა და გერმანიის იმპერატორები შეხვდნენ ერთმანეთს, გერმანიის იმპერატორმა სთქვა, რუსეთმა უეჭველად უნდა განაგრძოს ომი და დასავლეთ საზღვრებიდანაც ჯარი გაიყვანოსო; გერმანია უზრუნველ ჰყოფს რუსეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობას დასავლეთ საზღვრებიდანაო. იაპონიის დასამარცხებლად, გერმანიის იმპერატორის აზრით, რუსეთს ფული და ხალხის აღფრთოვანება, ომით დაინტერესება უნდა. ფულის შოვნაში გერმანია უშველის რუსეთს, ხალხის აღფრთოვანება კი ფართო, შინაურ რეფორმებით შეიძლებაო,—ასეთი აზრი გამოუთქვამს გერმანიის იმპერატორს.

მანჯურიაში. „რუს. სლ."-ს ბრძოლის ველიდან დეპეშით ატყობინებენ: ეს ორი კვირაა, განუწყვეტლივ წვიმს. ჯარი ჩინელების ქოხებში ცხოვრობს. პატარა ხევები ისე ადიდდა, რომ გასვლა არ შეიძლება. სხვადასხვა რაზმები ერთმანეთს დაშორდნენ, ერთმანეთისა აღარა იციანრა (რ. ს.).

ზავი. „მატენ"-ის კორესპონდენტი გასტონ ლერუ იუწყება: „წინად იაპონელებს ეგონათ, ვითომ რუსეთს თავის რიხით უნდოდა შეშინება იაპონიისა და ხელსაყრელი პირობების შემუშავება; ეხლა კი ცხადია, რუსეთის „პატრიოტთა" პარტიას იალუ, მუკდენი, პორტ-არტური და ცუსიმა დაავიწყდათ და ვლადივოსტოკისა და ლინევიჩის იმედი აქვთ. იაპონიაში დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთი იაპონიის ზომიერ პირობებსაც არ მიიღებს, რადგან უეჭველად უნდა გამარჯვებაო".

საფრანგეთის დიპლომატებს არა სჯერათ, რომ ახლო ხანში ომი გათავდეს (რ. ს.).

დ ე პ ე შ ა

(საკუთარის კორესპონდენტებისაგან)

ქუთაისი, 25 **ივლისი. განსაკუთრებული კომისია შეუდგა პირველ დაწყებითი სკოლის პროგრამის შემუშავებას. დიდის ხნის გვალვის შემდეგ საშინელი ნიაღვარი მოვიდა.**

ახალი ამბავი

—

დუშეთის საპოლიციო საერობო დარაჯს გაგიევს **დაუჭერია ერთი ყუთი**, რომელშიაც აღმოჩენილა 3 თოფი და პატრონები. ყუთთან ერთად შეუპყრია ამ ყუთის პატრონიც, ტომით სომეხი.

✦ 24 ივლისს **სოფელს ვეჯინში ვილამაც მოჰკლა ადგილობრივი მემამულე შიოევი**. როგორც ამბობენ, შიოევის თხოვნით ამას წინად სოფელში ეკზეკუცია ჩაუყენებიათ.

✦ 23, ივლისს საღამოს 11 საათზე, **ნაძალადევში ორის ტყვიით მოჰკლეს მოიჯარადრე დურგალი მიხეილ ზიბროვი. დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს.**

✦ სადგურ ბალაჯარაზე მოსამსახურე მუშებმა (200-მდე კაცმა) ჟანდარმთა სამმართველოში თხოვნა შეიტანეს. **რუსები თხოულობენ: ან მოგვეცით ბერდანის თოფები,** ან ნება მოგვეცით ჩვენის ფულით შევიძინოთ, რადგან გარშემო მცხოვრები მაჰმადიანები მტრულის თვალით გვიყურებენ და გვემინიან, არ ამოგვწყვიტონო („ბაქო").

✦ ტფილისის გუბერნატორს **დასამტკიცებლად წარედგინა „ქართულ ხოროს საზოგადოების" წესდება.** მიზანი ამ საზოგადოებისა—ხალხში მუსიკის ცოდნის გავრცელებაა. საზოგადოება აარსებს თავის განყოფილებას ქუთაისსა, ბათუმსა და კავკავში. საზოგადოების გამგეობა 5 კაცისაგან შესდგება. თანხა საწევრო ფულზეა დამოკიდებული. წლიური საწევრო გადასახადი 1 მანათია. საზოგადოებაში ორივე სქესის წევრი მიიღება.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა **კავკასიის ნამესტნიკისაგან შემდეგის შინაარსის წერილი მიიღო**: ამ უკანასკნელს ხანებში ბევრი თხოვნა მომდის მაჰმადიანებისაგან მათის შვილების სხვადასხვა სასწავლებლებში სახელმწიფო ხარჯზე მიღების შესახებ. ამასთან ერთად მაჰმადიანთა საზოგადოების პეტიციაში სწერია, რომ მაჰმადიანთა შორის განათლების სურვილმა მეტად გაიღვიძაო. ჩემის მხრივ, როგორც ადმინისტრატიულის მოსაზრებით, ისე მაჰმადიანთა კულტურულად ამაღლებისთვის, სასურველად ვსცნობ, რომ სამოსწავლო მთავრობამ ეს გარემოება მიიღოს მხედველობაში და ყოველის გზით დაეხმაროს მათ სწავლა-განათლების საქმეში. ამასთან, რასაკვირველია, საჭიროა, მაჰმადიანთა სარწმუნოებრივ გრძნობას ჯეროვანის ყურადღებით მოვეპყრათ. მივაქცევ რა თქვენის აღმატებულების ყურადღებას ამ გარემოებას, გთხოვთ, მაჰმადიანთა შვილების სწავლა-განათლებას ხელი შეუწყოთ, ხოლო, თუ საჭიროება მოითხოვს, ჩემის მხრით ყოველგვარ დახმარებას აღმოგიჩენთ".

✦ როგორც მკითხველებმა იციან, სახალხო განათლების სამინისტრომ უკვე ნება დართო ტფილისში (ავლაბარში) პროგიმნაზიისა და ყარსში რეალურ სასწავლებლის დაარსებაზე. ამჟამად **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა თავის მხრივ ნება დართო,** დააარსონ ახალი საქალებო გიმნაზიები ტფილისში (მე-5), კავკავში (მე-2) და სტავროპოლში (მე-3.).

✦ კავკასიის საიმპერატორო ტეხნიკურ საზოგადოების სადგომში მომავალ წლიდან **არსდება სალამოების და საკვირაო კურსები.** კურსებზე ასწავლიან ხატვას, მხატვრობას და ანგარიშს. სწავლა წელიწად ნახევარს გასტანს, კურსებზე შემსვლელმა უნდა იცოდეს რუსული წერა-კითხვა და ნუმერაცია. სწავლის ფასი თვეში მანათ ნახევარია. სასწავლო ნივთები მოწაფეებს მუქთად მიეცემათ.

✦ პეტერბურგიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ ახლად გამწესებული საქართველოს ექსარხოსი 25 ივლისს **პეტერბურგიდან ტფილისისაკენ გამომგზავრებულა.**

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიის ახლად დანიშნული რექტორი არქიმანდრიტი გრიგოლი **დაინიშნა ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის წევრადაც.**

✦ ამერ-იმერეთის სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველთა სახელობაზე მოვიდა **უქაზი უწმ. სინოდისა:** „დაუყოვნებლივ განიხილეთ ყველა ზომები, რომელიც უნდა იქმნეს მიღებული მომავალ წლიდან სწავლის აღსადგენადაო“.

✦ „ცნ. ფურ.“-ს სიტყვით, **ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად ინიშნება** ტფილისის საგუბერნიო გამგეობის წევრი **ალექსანდრე ყიფშიძე.**

✦ გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრებამ, 24 ივლისს, გორში, გარდასწყვიტა ის—30,000 მან., რომელიც 5 წლის ვადით სესხად აიღეს სათავად-აზნაურო ბანკიდან, **ძირითად თანხად შეიტანოს „მამითადის“ ამხანაგობაში.**

✦ გუშინწინ, 25 ივლისს, **საბალოსნო სასწავლებელში გამოცდა დასრულდა.** სწავლა დაამთავრა სულ 6-მა კაცმა. 2 მათგანი ქართველია, 3 სომეხი და 1 რუსი.

✦ თანახმად სიზრან-ვიაზემის რკინის გზის გამგეობის თხოვნისა, ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან **იგზავნება ორთქლ-მავალთა რვა ბრიგადა.**

✦ ქუთაისის მაზრის სოფელ ურიას-კარში **არსდება ფოსტა ტელეგრაფის კონტორა.**

✦ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა გიორგი შავარდნაძისა, სელივან ივანიძისა, ფარნა ნინუასი და სხვათა საქმე, რომელთაც ქ. ბათუმში **პატრიოტულ დემონსტრაციის ხელის შეშლა ჰბრალდებათ** და რომელიც გუშინ უნდა გარჩეულიყო, მამასახლისის სასამართლოში მოუსვლელობისა გამო გაიდო.

✦ გუშინ, 26 ივლისს, დიდუბეში, მაგარ სასმელებით მოვაჭრე გიორგი მათიაშვილს ფოსტით წერილი მისვლია, რომლითაც ვიღაცები ფულს სთხოვდნენ. წერილში კუბო ყოფილა გამოხატული. მათიაშვილს წაუკითხავს თუ არა წერილი, გული გახეთქია და გარდაცვლილა.

✦ 20 ივლისს, ქალაქ დუშეთში, სოფელ ქერანელ გლეხებს ჩხუბი მოსვლიათ ვიღაც მედუქნესთან. საქმეში პოლიცია-კაზაკები ჩარეულან. პოლიციელებს ბაზრისათვის ალყა შემოურტყამთ და, რაც გლეხები ყოფილა, სოფლებში გაურეკია. კაზაკებს ძალზე უცემიათ გლეხებისთვის.

✦ 25 ივლისს სოფ. ყარაიაზის (ტფილისის მაზრა) მახლობლად, ივანე ადამოვის მამულში, საღამოს 9 საათზე, **მოჰკლეს ადამოვის მოურავი ნიკოლოზ ხოჯამოვი.** მკვლელები თათრები არიან. მკვლელებს თან წაუღიათ ორი ბერდანის თოფი.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებმა შუამდგომლობა აღძრეს გამგეობის წინაშე,—გადათვალიერებულ იქმნას გამგეობის დადგენილება საბჭოს და წლისაუკანის კანცელარიებში მესამე ხარისხის მოსამსახურეთა მიღების შესახებ. გამგეობამ ეს თხოვნა განსახილველად ქალაქის მოურავს გადასცა.

✦ გუშინ-წინ, 25 ივლისს, გამოსცადეს ფუნიკულერის ავტომატიური ტორმოზები და ყოვლად კარგები გამოდგა.

✦ **სავაჭრო სამეურნეო ზედამხედველებმა** ქალაქის გამგეობას სთხოვეს,—რა ზომები მივიღოთ იმ სახლის პატრონების წინააღმდეგ, რომელთაც ხელწერილი აქვთ მიცემული და სეკვესტრიც დადებული, რომ ქირებს ხელს არ ვახლებთო და ისევ კი იღებენ და გადასახადებში აღარ გვაძლევენო. გამგეობამ დაადგინა, ყოველ ამ შემთხვევაში საქმე განასაჩივრეთ სასამართლოშიო.

✦ სოფელს არბოეთის (დუშეთის მაზრა) გლეხს კიწილა გულიშვილს ივლისის 24 მამულის გამო მოუკლავს სოფ. არღუთელი შეძლებული მცხოვრები მინა მერაბაშვილი.

✦ ბაზალეთის ტბა იჯარით აუღია დუშეთის პოლკის უფროსს, ზედ ნავები გაუმართავს და მონადირეთა და მოსეირნეთ ფასს ახდევინებს.

✦ სად. **ჯუმათიდან** გვატყობინებენ: 25 ივლისს, დიდმა წვიმებმა 29, 30, 32, 36 ვერსზე გზა იმდენად წახდინა, რომ ლანჩხუთიდან ჯუმათამდე მატარებლების მიმოსვლა კარგა ხანს შესწყდაო.

✦ 25 ივლისს, ნაშუადღევის ორ საათზე, ნავთლუღში ორთქლმავალმა გაიტანა მარიამ ავეტისოვისა.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომრის ფელეტონში „გაყიდული მადა“, 1-ლ გვერდზე, სამწუხაროდ, შეკვრის დროს შეცდომა მოვიდა. ერთი ნაწილი თავის ადგილას არ არის დაბეჭდილი და ამიტომ ვთხოვთ მკითხველებს, ის ნაწილი, რომელიც იწყება მე-4 სვეტ. მე-6 სტრიქონით ზევიდან (სიტყვებით: „მხოლოდ ფირფიტანა შუშა“...) და თავდება მე-5 სვეტ. მ-32 სტრ. ზევიდან (სიტყვებით: „ქრისტიანე სარწმუნოების ყველაზე“...) ჩაურთოს მე-2 სვეტის, ზევიდან მე-31 სტრიქონის, თავში (სიტყვები: „დიდებული ცერემონია—ზიარებაა“...). შემდეგ კი ყველგან სწორედ არის.

უკიდურესი უგუნურება და გალაღებული თავხედობა

გუშინდელ და დღევანდელ ქართულ გაზეთების მკითხველს, უეჭველია, სული შეუხუთდება იმ ყოვლად სამარცხვინო ამბების გამო, რომელიც შემთხვევიათ ორ ახალგაზდა ინტელიგენტს—დიმიტრი დიასამიძეს გორის სადგურზე და ნესტორ კლიმიაშვილს ქარელში. კითხულობთ ამ ამბებს და არ გჯერათ; კითხულობთ... და თავი აფრიკის დაბურულ, უღრან ტყე-ღრეში გგონიათ, ვიღაც ველურ პაპუასებსა და ბუშმენთა შორის...

შეიარაღებული კაცი-ჭამიები, რომელთაც დაცინვით „რაინდებს“ უწოდებენ, ერთს ყმაწვილს ბაქანიდან გადმოაგდებენ, თავს გაუტეხენ და მერე ფეხებით ზედ შეადგებიან—სთელავენ... მეორეს „გაასილაქებენ“, ჩხუბის ეშხით კარებსა და ფანჯრებს დალეწავენ და მერე ხანჯლის წვერზე უპირებენ აგებას, თითქო კაცი ადამიანი კი არა, ბეღურა ჩიტი იყოსო...

მერე რათა, რისთვის? რომელ ცოდო და დანაშაულისათვის? სრულებით უმიზეზოდ: თქვენ რადა ხართ განათლებული, თავში ადამიანური, კაცთმოყვარული აზრი რად გიძევთ!.. რატომ სხვებსავით გალეშილ-გავერანებული არა ხართ და თავი სიბნელითა და ძულებით არა გაქვთ გამოტენილიო!!.

განა შეიძლება-ღა ამაზე მეტი გადაგვარება, გადუხჭირება და ნებაყოფლობითი გაპირუტყვება! განა ცემა-ტყეპითა და ძალმომრეობით ამ ქვეყნად რაიმე გაკეთებულა მტრობა-შუღლისა და ღვარძლ-ბოროტის მეტი?! აზრი პირუტყვი ხომ არ არის, რომ თოფით დახვრიტო და ხანჯლით გამოფაშვო! აზრთან ბრძოლა მხოლოდ აზრითვე შეიძლება. განა ტყუილად ამბობს ჩვენი მგოსანი:

ხმალი იმოდენს ვერას იქმს, მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი კალმის პატარა წვერიო!

არა, ბატონებო, თქვენი საქციელი თქვენი მიზნის მისაღწევად უნაყოფოა. თქვენ რომ ცხოვრობთ, ეგრე ცხოვრება არ შეიძლება. ყოველი თქვენი უკუღმართობა და სივაგლახე, თვითნებობაზე და ძალმომრეობაზე დაფუძნებული, თქვენთვის უფრო საზარალო და მავნებელია, რადგან ასეთი ქცევა უფრო მალე და მოურიდებლად გამოგაცლით იმ ნიადაგს, რომელიც, დღეს-დღეობით თუმცა ირყევა, მაგრამ მაინც გატარებს კიდევ.

მალ-მალე მოიგონეთ იტალიელთა თქმულება: „რომელ სადგომშიც სინათლე არ შედის, იქ ხშირად ექიმი შედისო“. გაუფრთხილდით ამ ექიმის მოსვლას, ექიმებს მძიმე ავადმყოფებთან იბარებენ ხოლმე. ცალმხრივობაში, კერძოობაში და თვითნებობაში კი არ არის ძალ-ღონე, არამედ ქვეყნად გაბატონებულ-გამეფებულ ერთობაში, ამ ერთობის მისაღწევ მისწრაფებაში.

რაც შეიძლება, მეტი სივრცე, მეტი ჰაერი და სინათლე ურთიერთობაში. დღევანდელი ცხოვრება კერძო პირების ცემა-ტყეპას და ხოცვა-ჟლეტას კი არ მოითხოვს ჭკუათამყოფელ კაცებისაგან, არამედ საზრიან ბრძოლას საუკეთესო მერმისისათვის, ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, საქვეყნო იდეალებისათვის,—უამისოდ სამარცხვინო სიკვდილი და შავი სამარე მოგველის. რა სიკეთესა და სიმშვიდეს ეძებთ, ნეტა ვიცოდეთ! საპყრობილეშიაც სიმშვიდეა, ჯურღმულშიაც არის ცხოვრება, ქვესკნელშიაც ცხოვრობენ ჯოჯოხეთის ბნელნი ძალნი, ქვემძრომნი და ბაყაყები!..

ყველა სინათლეს შეჰხარის, მზის შუქს შენატრის და ალისფერ ცისკარის მოლოდინში თავგამოდებით იბრძვის და საერთო დღესასწაულის შეუპოვარ ძებნაშია. და თქვენ კი... ვაი, სირცხვილო!

ტასიაშვილი.

რუსეთი

კიშინიოვში «ხულიგანები» მეტის-მეტად თავს გავიდნენ, ქუჩაში აღარავის უშვებენ. ათობით-და ოცობით დადიან და, თუ დაინახეს რიგიანად ჩაცმული ქალი თუ კაცი—კომბლებით სცემენ. ამას წინად ქალაქის ბაღში 10,000-მდე მოსეირნეს დაერივნენ და, ორის საათის განმავლობაში, ვინც კი ხელში მოხვდებოდათ—სცემდნენ. პოლიცია, რასაკვირველია, საქმეში არ ერეოდა და სეირს უყურებდა. ქალაქი ბრძოლის ველად გადიქცა. საზოგადოებამაც შეადგინა რაზმი და „ხულიგანებს“ ებრძვის. 19 ივლისს ქუჩაში ერთი „ხულიგანი“ მოჰკლეს, მეორე—დასჭრეს. 20-ში ძლიერ სცემეს სამ „ხულიგანს“. ქალაქი მეტად შეწუხებულია. შეძლებულები მირბიან (რ. ს.).

✦ 19 ივლისს ეკატერინოსლავში „პატრიოტ“ რუსებმა **ებრაელები აიკლეს.** ქალაქის იმ უბნებში, სადაც ებრაელები ცხოვრობენ, რუსებმა ებრაელების სახლები აიკლეს და გაძარცვეს. (რ. ს.).

✦ კატარსკში **გუბერნატორს სამჯერ ესროლეს** რევოლვერი, მაგრამ ააცდინეს. ესროლელები მიიმალნენ (რ. ს.).

✦ 21 ივლისს ლოძში პოლიციელმა ლავრინოვიჩმა ვიღაც უცნობი დაიჭირა და პოლიციაში წაიყვანა. გზაში უცნობი ხელიდან გაუსხლტა პოლიციელს, **რევოლვერით მოჰკლა** იგი და მიიმალა. (რ. ს.).

✦ პოლონეთის ადმინისტრაციის განკარგულებით, ვარშავის მახლობლად მდებარე დაბა ბრუსიდან **ებრაელები გააძევეს.** ამ დაბაში რამდენიმე ათასი ებრაელი ცხოვრობდა. ეხლა კი ერთიც აღარ დასტოვეს (რ. ვ.).

✦ ვარშავის მაზრიდან ომში გაწვეულმა გლეხებმა სთხოვეს მთავრობას, რადგან ბრძოლის ველზე წასვლამდე ერთი თვე კიდევ დარჩა, გთხოვთ, შინ დაბრუნების ნება მოგვეცეთ, რადგან შინ აღარავინ დაგვრჩა და ჭირნახულს აკრეფა უნდაო. მთავრობამ უარი შეუთვალა. (რ. ს.).

✦ ყაზანში ვიღაცას გადაუვლია ჰაეროსტატით. **მცხოვრებლები ძალიან აღელდნენ,** ეგ უბედურების ნიშანია და სულ იაპონელების ბრალიაო! (რ. ს.).

✦ ვილნოს პოლკის სალდათ გოჩედლოვერს, რომელსაც ფეოდოსიაში მომხდარ არეულობის დროს პოლკის უფროსის მოკვლა უნდოდა, სამხედრო სასამართლომ **ჩამოხრჩობა** გადაუწყვიტა (რ. ვ.).

✦ პეტერბურგში ხმა დადის, ამ ორ დღეში, უმაღლესის ბრძანებით, **გაუქმებულ იქნება** ყველა ის **კომისიები,** რომელთაც 12 დეკემბრის უქაზის შემუშავება და გამოკვლევა მიენდოთ. ზემოხსენებულ კომისიების საქმე მომავალ საერო კრებას მიენდობა. კრება შეიმუშავებს უქაზის მუხლებს და უმაღლეს მთავრობას წარუდგენს დასამტკიცებლად. კრებას ამ შემთხვევაშიაც მხოლოდ რჩევის უფლება ექნება (რ. ვ.).

✦ გრაფმა იგნატიევმა, რომელსაც გაძლიერებულ დაცვის წესების გადასინჯვა ჰქონდა მინდობილი, სამხრეთ-რუსეთი შემოიარა და შემდეგი დასკვნა გამოიყვანა: **საჭიროა დაუყოვნებლივ გაუქმდეს სამხედრო და გაძლიერებულ დაცვის წესებიო.** იგნატიევის აზრით, სამხრეთ და დასავლეთ რუსეთში—კავკასიასა, მალოროსიასა, ნოვოროსიასა, პოლონეთსა და ბალტიის მხარეში—საქმე ძლიერ გამწვავდა და თანამედროვე მოძრაობის შეჩერება ამ მხარეებში შეუძლებელიაო (რ. ს.).

✦ რუსეთის საიმპერატორო სამეცნიერო **აკადემიამ სინოდის წინაშე შუამდგომლობა აღძრა** შესახებ იმისა, რომ მალოროსიულ ენაზე სახარების დაბეჭდვის ნება მიეცეს აკადემიას. სინოდმა უარი შეუთვალა,—არ შეიძლებაო. (რ. ს.).

✦ უცხოეთის გაზეთებში სწერია: ვარშავაში და ლოძში პოლიციელები უარს აცხადებენ სამსახურზე. მიზეზი ის არის, რომ უკანასკნელ ხანებში **პოლონეთში პოლიციელებს უწყალოდ ხოცავენ** (სინ. ოტ.).

✦ კალიშის რკინის გზის ვიცე-დირექტორი კარპინსკი და მოსამართლე დუნაკოვსკი **იძულებულნი გახდნენ საზღვარ-გარედ გასულიყვნენ.** მიზეზი ის იყო, რომ ორივემ, მოსამართლემაც და ინჟენერმაც, რკინის გზაზე და სასამართლოში პოლონური ენა შემოიღეს ხმარებაში (რ. ვ.).

✦ ლიფლიანდიის რკინის გზაზე სიმთვრალის წინააღმდეგ მებრძოლთა საზოგადოების წევრებმა მატარებელს მოხსნეს არყით დატვირთული ვაგონი და **ცეცხლი წაუკიდეს.** ვაგონი, რასაკვირველია, დაიწვა (რ. ვ.).

✦ უკანასკნელ ოფიციალურ ცნობებით, მთელ რუსეთში **ხაზინას ჰქონია 246,006,419 დესეტინა ტყე;** აქედან გამოკვლეული და მოწყობილია მხოლოდ 32,619,983 დესეტინა. ევროპის რუსეთში ხაზინას ჰქონია 107,131,841 დესეტინა, კავკასიაში—4.763,816 დესეტინა, ციმბირში—134,110,762 დესეტინა. 1903 წელს ხაზინას გაუყიდნია 60.694,067 მან. ხე-ტყე. (რ. ვ.).

✦ ხერსონის ერთ ბატალიონში მომხდარ არეულობის გამო სამხედრო სასამართლოში მისცეს 9 სალდათი. სასამართლომ **5 სალდათს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა,** 1-ს 7 წლით კატორღაში გაგზავნა, 2-ს—5 წლით და 1-ს—4 წლით. (ნ. ჟ.).

ინგლისის ესკადრა ბალტიის ზღვაში

როდესაც ხმები გავრცელდა, რომ ინგლისის ლამანშის ფლოტს ბალტიის ზღვაში გზავნისო, არც ერთს სახელმწიფოს არა სჯეროდა ეს ამბავი. ყველას ასე ეგონათ, ამბობს გაზეთი „ნ. ფრ. პრ.“, რომ ფლოტის გაგზავნა უბრალო გასეირნება იქმნებოდა, ან, როგორც სამხედრო პირნი იტყვიან „ინგლისს თავისი დროშა უნდა გამოემზეურებინაო“. მაგრამ მალე გაიფანტა ასეთი ფიქრები. ლონდონიდან ცნობა მოვიდა, რომ ესკადრის სეირნობა არც ისე უმიზნო არის, როგორც

ფელეტონი

რა არის კრიტიკა

(ბუნება და მშვენიერება.—პოეზია და კრიტიკა)

არ გაგივლია, მკითხველო, ახალ გაზაფხულზე ბაღში? სხვადასხვა ფერად აყვავებული ხეხილები მაყურებლის თვალს იტაცებს; ერთი კოკორი მთლად გადაშლილა და მზისათვის მიუშვერია თავისი მკერდი, მეორეს ოდნავ გაუღია თავისი ნორჩი ფურცლები და ეკეკლუცება ფუტკარს. მესამე, აგერ, ეს არის, ახლა აპირობს ბუდიდან გამოძრომას; ნორჩი ფურცლები მზის სხივებს სხვადასხვა ფერად აკრთობენ და გაცოცხლებულ, გაღვიძებულ ბუნებას სილამაზით ავსებენ. თუ გინახავს ასეთი სურათი, მხოლოდ სინამდვილეში უფრო ცხოველი, უფრო მიმზიდველი, ნუ თუ ერთხელ მაინც არ გითქვამს: მშვენიერია სიცოცხლე, მშვენიერია ქვეყნიერება, მშვენივრად არის მასში ყოველივე გაწესრიგებულიო? ის თვისება, რომლის შემაერთებელ მცნებასაც ჩვენ მშვენიერებას ვუწოდებთ, უხვად არის გაბნეული ბუნებაში თვით უსულო საგანთა შორისაც. ის აერთებს, აკავშირებს ერთმანეთთან მაღალ კლდიდან გადმომჩქეფარე ნაკადულს, მაისის გაშლილ ვარდს, მოციმციმე ვარსკვლავს, ცისარტყელას და სხვ. მისთვის არც ალაგი, არც დრო არ არსებობს, ის ყველგან არის, ცასა და დედამიწას აერთიანებს.

დილით ადრე არ გინახავს ბალახზე აგორებული ცვარი? არ დაგიწყია მისთვის ცქერა, როგორ აკრთობს ის ახლად ჩამოშვებულ მზის სხივებს და ალმასივით ბრჭყვიალებს! ეს ერთი წვეთი წყალიც კი მშვენიერების მატარებელია. თოვლი რა არის, განა არ შეგიმჩნევია ხშირად, რა ლამაზი, რა სიმეტრიული სახე აქვს მის პატარა ფერფლს? აქაც კი არის მშვენიერება, ამ პატარა ფერფლში, რომელსაც მზის ერთი უბრალო სხივიც კი არსებობას უსპობს.

დაანებეთ თავი უსულო საგნებს. განა ბუნებას ცხოველთა შორის ნაკლების სიუხვით დაუთესია მშვენიერება? ბუნება და ბუნების საგნები რომ მოკლებული იყოს ყველა ამ თვისებას, რომელსაც ადამიანის ენა მშვენიერებას უწოდებს, ყოველიფერი მკვდარი, უსიცოცხლო, მიუზიდველი იქმნებოდა,—თვით ადამიანის ცხოვრებასაც კი არ ექმნებოდა ფასი. რა სიცოცხლეა ის სიცოცხლე, რომელიც მშვენიერებას მოკლებულია?—„გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო“, უთქვამს უკვდავ რუსთაველს. მშვენიერების გამოხატულებას ბუნებაში ორგვარი სახე აქვს, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მშვენიერება ცოცხალ ქმნილების შემეცნებას მხოლოდ ორი გზით აღწევს: თვალის შემწეობით და ყურის შემწეობით. სმენელობითი შეგნება მშვენიერების უფრო მეტ ესტეტიურ განვითარებას ითხოვს ცხოველისაგან, ვიდრე მხედველობითი შეგნება: ნახულის აწონა და დაფასება უფრო ადვილია, ვიდრე გაგონილისა. მიუხედავად ამისა, წყურვილი მშვენიერებისა იმდენად გავრცელებულია ცოცხალ არსებათა შორის, რომ ტკბილ ენას გველის ამოყვანაც კი შესძლებია ხვრელიდან. რომ აქ არავითარი გადაჭარბება არ არის, ამას ბევრი მაგალითი ამტკიცებს: ინდოეთში ადგილობრივი მცხოვრებნი ერთგვარის საკრავით იმდენად ათვინიერებენ და იმორჩილებენ შხამიან გველს, რომ მისი დაჭერაც კი ადვილი და უხიფათო ხდება. განა შენ თვითონ არ გინახავს, მკითხველო, ზაფხულის პაპანაქება დღეში როგორ წამოწვება ხოლმე ქვაზე უშნო, ულაზათო ხვლიკი?! ის ამ რდოს ბუნებისა და სიცოცხლის ნეტარებით სტკბება და სრულ ბედნიერათა გრძნობს თავის თავს. ფრინველებს რომ არ ესმოდეთ, თუ რა არის მშვენიერება, ეჭვს გარეშეა, ბუნებას აღარ ეყოლებოდა სხვადასხვა მგალობელი ფრინველები. რით ხიბლავს, რით იმონებს მამალი ბულბული თავის სატრფოს გულს? მხოლოდ თავის ხმის სიმშვენიერით. ფრინველთა და ცხოველთა შორის დედლის მოსაპოვებლად უმეტეს ნაწილად ბრძოლაა: ზოგან ბრძოლაა ფიზიკური,—ვინც ყველას მოერევა, დედალიც იმას რჩება; მაგრამ ხშირად და უფრო ფრინველთა შორის ბრძოლა ესტეტიურია: ვინც უფრო მოაწონებს თავს დედალს თავის გარეგნობით, გამარჯვებულიც ის არის. ამგვარ მაგალითებით სავსეა ბუნების ისტორია. რას გვასწავლის ყოველივე ეს? აი, რას. ბუნებაში ვერ ნახავთ ვერც ერთ ცხოველს, რომელიც არ ეტანებოდეს მშვენიერებას, რომელსაც არ ხიბლავდეს მშვენიერება.

დაანებოთ ცხოველებს თავი, მივმართოთ ადამიანს. კაცობრიობა ძალიან ვრცელი წარმოდგენაა. ერთის მხრით, ყოვლად უნიჭო ტასმანიელი და, მეორე მხრით, უმაღლესად განვითარებული ევროპიელი. ორივენი კაცობრიობის წევრნი არიან. მათ შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორივეს მოსწონთ მშვენიერება, ხოლო, რასაკვირველია, ტასმანიელის წარმოდგენა მშვენიერებისა ჯერ კიდევ უსუსურია, ვიწრო და მარტივი, ევროპიელისა კი—განვითარებული, რთული და ფართო. როდესაც ტასმანიელი მზად არის მთელი თავის საცხოვრებელი და ცოლშვილიც კი გასცეს წითელ შუშის ნამტვრევში, ეს ფაქტი, მართალია, მის გაუგებრობას ჰმოწმობს, მაგრამ იგივე ფაქტი ცხადად ღაღადებს, რომ ტასმანიელი, მიუხედავად თავის უსუსურ ტვინისა, მაინც მონაა მშვენიერებისა. აიღეთ სხვადასხვა უკულტურო ხალხის სამკაული, ტანისამოსი,—ყოველისფერში ხალხი ცდილობდა მშვენიერება გამოეხატა.

რათ უნდოდა მას ეს მშვენიერება?, აი რათ: მას მოსწონს ყოველგვარი მშვენიერება და იცის, რომ სხვასაც მოსწონს; რადგანაც მშვენიერების სამოსელში უფრო მოაწონებს სხვას თავს, ამიტომ ცდილობს შეალამაზოს თავისი გარეგნობა. შესწავლა იმისი, თუ როგორ ვითარდებოდა და ფართოვდებოდა ისტორიის განმავლობაში მშვენიერების წარმოდგენა, არის ამავე დროს სულიერ და მატერიალურ კულტურის ევოლუციის შესწავლა. თანამედროვე ადამიანს და თანამედროვე საზოგადოებას თუ მივმართავთ, დავრწმუნდებით, რომ ერთ უძლიერეს წყურვილს ადამიანისას წარმოადგენს მშვენიერება. ძვირფასად მორთული სახლი მდიდრისა, ტლანქად შეღებილი კარი ღარიბის ქოხისა, რაფაელის ქამანჩა და ბეთჰოვენის მუსიკა, რკინის ბეჭედი ღარიბის თითზე და ევროპიელ მდიდარ ქალის სამკაული—ყველა ნაყოფია, ყველა გამოწვეულია მშვენიერების სიყვარულით, მშვენიერების მოთხოვნილებით. რა იაფადაც უნდა აფასებდეს ყოველი ჩვენგანი სხვის აზრს, მაინც ყოველი ჩვენგანი ცდილობს, რაც შეიძლება, კარგის მხრით ეჩვენოს სხვას. წყურვილი მშვენიერებისა იმდენად მძლავრად არის ჩვენს არსებობაში გამჯდარი, რომ არც ლაპარაკის დროს, არც მიხვრა-მოხვრაში, არც ჩაცმა-დახურვაში,—არც ერთს ჩვენგანს არ ავიწყდება, რომ უშნოდ, ტლანქად, სასაცილოდ არაფერი მოიმოქმედოს. მოკლედ რომ ვთქვათ: ყველას გვინდა, ერთის მხრით, რომ ჩვენში მშვენიერება იყოს, რაც შეიძლება, მეტი, მეორეს მხრით,—რომ ყველა ჩვენში, რაც შეიძლება, მეტს მშვენიერებას ხედავდეს.

რატომ ეტანება ამდენად ადამიანი მშვენიერებას? სად არის იმის მიზეზი? ერთის მხრით,—ადამიანში, მეორეს მხრით,—ისევ მშვენიერებაში. განვითარების დაბალ საფეხურზე ადამიანს ყოველივე მშვენიერი იმიტომ მოსწონდა, რომ მისთვის ეს სასარგებლო იყოო,—ამბობს ბევრი. თავდაპირველად სასარგებლო და მშვენიერი ერთი და იგივე იყოო,—ამბობს გუიო თავის ესტეტიკაში. ამგვარად, ზოგიერთ მეცნიერის აზრით, მშვენიერებისადმი სიყვარულისა და მისწრაფების საიდუმლოება ადამიანის ეგოიზმში იმარხება,—ადამიანს მოსწონს ყოველისფერი, რაც მისთვის სასარგებლოა, და რადგანაც ყოველგვარი მშვენიერი იმავე დროს მისთვის სასარგებლოც იყო, აქედან ადამიანის ბუნებაში თანდათან ჩაისახა და გაძლიერდა სიყვარული მშვენიერებისადმიო.

ამგვარი აზრი შეცდომად უნდა ჩაითვალოს. როდესაც ვუკვირდებით ადამიანის მისწრაფებას მშვენიერებისადმი, ვრწმუნდებით, რომ ეს მისწრაფება მხოლოდ მოთხოვნილებაზეა დამყარებული—მშვენიერება ადამიანის ბუნების მოთხოვნილებაა, ესტეტიურ მოთხოვნილებას კი იწვევს და ანვითარებს მხოლოდ სიამოვნება და სარგებლობა. თუ ინდუსის სალამურს გველი ხვრელიდან ამოჰყავს, მხოლოდ იმ მიზეზის წყალობით, რომ გველს სალამურის ხმა სიამოვნებას ჰგვრის. თუ ზოგიერთი ფრინველი მხოლოდ ერთ მამალს ნებდება და არა მეორეს, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გალობა ან მისი გარეგანი სილამაზე ყველაზე მეტად ასიამოვნებს, თუ ჩვენ მოგვწონს მშვენიერი ქანდაკება, გამოჩენილი მხატვრობა, გაზაფხულის ლამაზი დილა, აყვავებული ველი, ბეთჰოვენის სონატა, მესხიშვილის თამაში, გიოტეს ვერტერი და სხვა, მხოლოდ იმიტომ რომ, ყველა ეს სიამოვნებას იწვევს ჩვენში. რად იწვევს ჩემში შენში, და მასში მშვენიერება სიამოვნებას? ამის პასუხს ვერავინ ვერ მოგცემთ,—ამგვარია საზოგადოდ ადამიანის ნერვები, რომელთა ერთ უმთავრეს მოთხოვნილებას სიამოვნება შეადგენს.

თუმცა საძირკველი მშვენიერებისა სიამოვნებაა, მაგრამ მკითხველისათვის ცხადია, რომ სიამოვნება არ წარმოადგენს მშვენიერების კრიტერიუმს, მშვენიერების სასწორს: სულ ხშირად მას, რაც სასიამოვნოა, მშვენიერებასთან, შეიძლება, არავითარი შორეული ნათესაობაც არა ჰქონდეს. ამის მიზეზი სიამოვნების სხვადასხვაობაში მდგომარეობს. მშიერ კუჭზე მადიანი ლუკმა დიდ სიამოვნებასა ჰგვრის ადამიანს. მაგრამ ლუკმის პირში ჩადება, რა მშვენიერიც უნდა იყოს ეს პირი, და მისი ღეჭვა არავითარ მშვენიერებას არ წარმოადგენს. სიამოვნება ორგვარია: ხორციელი და სულიერი. ყოველი და ყოველგვარ მშვენიერების უმთავრეს და უპირველეს პირობას ის შეადგენს, რომ უნდა იწვევდეს ადამიანში მხოლოდ სულიერ სიამოვნებას.

მეორე მიზეზი მშვენიერებისადმი მისწრაფებისა, როგორც უკვე ვთქვით, თვით მშვენიერებაშივეა. ამის შესაგნებლად საჭიროა იმის გამორკვევა, თუ რა არის თვით მშვენიერება? რად ვუწოდებთ ჩვენ ერთ საგანს ან მოვლენას მშვენიერს, მეორეს კი არა?

რა არის მშვენიერება? არსებული, რეალური საგანი ან მოვლენაა ის თუ არა? მშვენიერება არის მხოლოთ განყენებული ცნება,—ის გამოხატავს მარტო სახელს სხვადასხვა თვისებისას. თუ ჩვენ ვამბობთ ეს—და ეს საგანი მშვენიერებას წარმოადგენსო, ამით ჩვენ, აი, რისი თქმა, ან რისი გამოხატვა გვინდა: ესა თუ ის საგანი შეიცავს ერთს, ორს, სამს ან მეტს თვისებას, რომლებიც ჩვენ სულიერ ანუ ესტეტიურ სიამოვნებას გვძენენ. ამგვარად, მშვენიერება არის მხოლოდ განყენებული სახელი, განყენებული წარმოდგენა რომლისამე საგნისა ან მოვლენის იმგვარ თვისებათა, რომლებიც ადამიანში სულიერ სიამოვნებას იწვევენ.

აქედან ცხადია ისიც, თუ რათ ვუწოდებთ ერთს საგანს მშვენიერს, მეორეს კი არა: ერთს საგანში მოიპოვება ის თვისებანი, რომლებიც მშვენიერებას წარმოადგენენ და რომლებსაც მეორე მოკლებულია; ხოლო იმის ახსნა და გამორკვევა, თუ რას წარმოადგენენ ეს თვისებანი, რა ახასიათებს მშვენიერებას—ფრიად ძნელი და მასთან ფრიად რთულია. აიღეთ სხვადასხვა ესტეტიკა, არისტოტელიდან მოკიდებული. იმ კითხვაზე, თუ რა ახასიათებს მშვენიერებას, თქვენ ვერ მიიღებთ გადაჭრილ პასუხს, ყველა თავისებურად ხსნის ამ საკითხს, და ამიტომაც არის, რომ ესტეტიკა, მიუხედავად მთელის თავის მეცადინეობისა, დღემდე მხოლოდ სუბიექტიურ აზრების კრებულს წარმოადგენს და არა მეცნიერულს ნიადაგზე დამყარებულს მოძღვრებას. ინდუქციის შემწეობით ჩვენ შეგვიძლია გამოვარკვიოთ მხოლოდ რამოდენიმე მხარე, ანუ რამოდენიმე აუცილებელი პირობა მშვენიერებისა. ავიღოთ რომელიმე მოქმედება, თუნდა თამაში. თქვენ უყურებთ ორს მოთამაშეს; პირველის თამაშში თქვენ ხედავთ მშვენიერებას, მეორესაში კი არა. რა არის ამის მიზეზი? თუ კარგად ჩაუკვირდებით მოთამაშეთა მიხვრა-მოხვრას და იმ შთაბეჭდილებებს, რომელსაც ისინი თქვენში იწვევენ, შემდეგ ჭეშმარიტებას წავაწყდებით: ყოველგვარ მოძრაობას პირველი მოთამაშე ასრულებს ბუნებრივად, ძალ-დაუტანებლად, დაუღალავად და მწყობრად; მეორეს კი, როგორც ტანის რხევაში, ისე ფეხების აყოლებაში სიმძიმე, მოუხეშაობა, უსწორ-მასწორობა და ნაძალადეობა ემჩნევა. ამგვარად, ყოველგვარ მოქმედებაში მშვენიერების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბუნებრიობა, ძალ-დაუტანებლობა და ადვილად აღსრულება თვითეულ მიხვრა-მოხვრისა. აიღეთ ორი სხვადასხვა საგანი: პირველი განხორციელებაა მშვენიერებისა თქვენს თვალში, მეორე კი არა. თუ ჩაუკვირდებით ორივეს, მალე დარწმუნდებით, რომ პირველ საგნის სხვადასხვა ნაწილები ზომიერად და სისწორით არიან ერთმანეთთან შეწყობილ-შეერთებულნი, მეორისა კი—არა. ე. ი. პირველ საგნის ნაწილებში დაცულია სიმეტრია, მეორისაში კი არა. აუცილებელ და უპირველეს პირობას მშვენიერებისას, რაშიაც უნდა იხატებოდეს იგი, წარმოადგენს სიმეტრია. აიღეთ სიმღერა. თუ ის მოკლებულია სიმეტრიას—ანუ, მუსიკის ენაზე, რითმს, უთუოდ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე. აიღეთ ლექსი. თუ ის მოკლებულია სიმეტრიას, ანუ, პოეზიის ენაზე, რიფმასა და მარცვალთა წყობის ერთგვარობას, მაშინ ის საძაგელ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე.

რათ წარმოადგენს სიმეტრია, რითმი, რიფმა, ბუნებრიობა, ძალ-დაუტანლობა და სხვ. მშვენიერების პირობას? ამის პასუხს ფიზიოლოგები იძლევიან. იმ საგანს, მოვლენას და სხ., სადაც ეს პირობანი დაცულია, ჩვენი წარმოდგენა უფრო ადვილად ითვისებს, ჩვენი ნერვები უფრო ნაკ-

ჰგონიათო. ამ ნაბიჯით ინგლისსა სურს აგრძნობინოს ყველას, რომ ბალტიის ზღვა ყველასთვის ხსნილი არისო. ინგლისის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მისი ესკადრა 28—31 აგვისტომდე სვინემუნდის მიდამოებში იტრიალებს, ხოლო 1—4 სექტემბრამდე კი დანციგის მიდამოებს ესტუმრებაო. ამ ამბის გამო ზემოხსენებული გაზეთი დასძენს: ბალტიის ზღვა, რომელიც სავსეა კუნძულებით, რომელშიაც გამუდმებით სავაჭრო გემები მიდი-მოდიან, ესკადრის საალლუმოდ სრულიად შეუფერებელია, მით უმეტეს, რომ ალლუმობის დროს მეზღვაურთა ნაპირებზე გადასხმაც არის საჭირო. ეს კი სულ მოუხერხებელია ინგლისისის ესკადრისთვის, რადგან ბალტიის ზღვაში ერთი ტკაველი ადგილიც არა აქვსო. ინგლისი ბალტიის კიდეებს სრულიადაც ვერ მოიხმარს ისე, როგორც ოსმალეთის კიდეებით სარგებლობსო, სადაც თავისუფლად ალლუმობს მისი ესკადრა, იმის მიუხედავად, თუ ოსმალეთს ესიამოვნება ეს ალლუმები თუ არა.

ამის გამო ბალტიის ზღვაში ინგლისის ესკადრის ალლუმობა საგონებელში აგდებს ყველას, მით უმეტეს, რომ ინგლისი თავის მხრით ბალტიის ზღვას ისე უცქერის, როგორც თავისუფალს ზღვას,

ამაში, რა თქმა უნდა, არ ეთანხმება არც რუსეთი, არც დანია, არც შვეცია, რომლებიც მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ ეს ზღვა სხვა სახელმწიფოებისთვის ხელმისაწდომი არ გამხდარიყო. 1780 წლის დეკლარაციით რუსეთი და დანია თხოულობდნენ, რომ ბალტიის ზღვა მხოლოდ სავაჭრო გემებისათვის ყოფილიყო გახსნილი, უცხო სახელმწიფოთა სამხედრო გემები კი არ უნდა შესულიყვნენ. ამ დეკლარაციას საფრანგეთიც მიემხრო. იმ ხანად არც ინგლისი აუხირდა, მაინცადამაინც, და წინააღმდეგობა არ გაუწევია. მაგრამ ეს დეკლარაცია 1854 წ. საფრანგეთისა და ინგლისის ბალტიის ზღვაში ესკადრების მოსვლამ დაარღვია. 1857 წ. ამერიკამაც ამოიღო ხმა და ზონდის სრუტის თავისუფლება მოითხოვა. ამ დღიდან თანდათან გაიზარდა სურვილი და მეცადინეობა ბალტიის ზღვის თავისუფალ ზღვად აღიარებისა. მომავალ აგვისტო-სექტემბერში განზრახული ალლუმობა ინგლისის ესკადრისა უკვე სახუმარო ნაბიჯი არ არის, მით უმეტეს, რომ ინგლისი ამ ალლუმს თუ ნებით არა, ძალით მაინც მოახდენსო. ამ მოვლენას კი იაპონიისთვისაც დიდი მნიშვნელობა ექმნებაო.

თუ კი ევროპის სახელმწიფოების ესკადრისათვის ღია იქნება ბალტიის ზღვის კარი, იაპონელებს რაღა დაუშლის, ევროპის კონფლიქტის გამოუწვევლად, თავის ესკადრით მოევლინოს ზღვას და რუსეთის სამფლობელოს ზარბაზნები აქედანაც დაუშინოს და გზა აქეთაც შეუკრასო... ასეა დღეს საქმე და ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რა ნაყოფს გამოიღებს ინგლისის დაბეჯითებული გადაწყვეტილება და მისი ესკადრის მომავალი ალლუმი... (ნ. დ.).

ავსტრალიელთა მოთხოვნილება

—

1. ავსტრალიის რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტი—დამოუკიდებლობა.

ა) ყველა საერთაშორისო საქმეში წარმომადგენლობის უფლება.

ბ) უცხო სახელმწიფოებთან ხელშეკრულობის დადება და დარღვევა.

გ) ელჩების და კონსულების გამწესების უფლება.

2. მფარველობითი ბაჟი ყველა შემოტანილ საქონელზე შეიძლება გაკეთდეს ავსტრალიაში.

3. ნორმალური ბაჟი იმ საქონელზე, რომელიც ავსტრალიაში არ კეთდება.

4. ყველა რკინის გზის და ტრამვაის ნაციონალიზაცია.

5. ყველა მოსარწყავ მოწყობილობის ნაციონალიზაცია.

6. სახელმწიფოს კუთვნილ ადგილების გაყიდვის მოსპობა.

7. სახელმწიფო საწყობების დაარსება ხორბლეულობისთვის.

8. ყველა მონოპოლიის ნაციონალიზაცია.

9. ავსტრალიის სამხედრო ფლოტის შექმნა.

10. საბანკო დაწესებულებათა ნაციონალიზაცია. სრულიად ავსტრალიის სახელმწიფო ბანკის დაარსება.

11. ყველა სახელმწიფო ფულის და ქონების რესპუბლიკის სახელზე გადატანა.

12. სახელმწიფო სესხების მოსპობა შემდეგში და არსებულ სესხების გადახდა.

13. რესპუბლიკის ხელში ყველა „სამეფო“ ადგილების გადასვლა.

14. ცალკე შტატების კონსტიტუციის მოსპობა და მთელ ავსტრალიის გაერთიანება (საერთო პარლამენტი ავსტრალიისთვის).

15. ყოველ შტატში ახალ კონსტიტუციის შედგენა, ერთ-პალატიან სისტემაზე აშენებული; ყოველ პალატაში არა უმეტეს 25 წევრისა უნდა იყოს და წევრებს განსაზღვრული უფლებები უნდა ჰქონდეს მინიჭებული.

16. ქალაქებს, საგრაფოებსა და ცალკე შტატებს, აგრეთვე სახელმწიფო და საქალაქო დაწესებულებებსაც უნდა აეკრძალოს ფულის სესხება,—ეს უფლება მიენიჭება მხოლოდ რესპუბლიკის მთავრობას და ისიც მხოლოდ სამხედრო მიზნით.

17. ინგლისისათვის საზღვაო სუბსიდიის მოსპობა.

18. ხარისხების მოსპობა.

19. სიკვდილით დასჯის მოსპობა.

20. მოქალაქეობის უფლებების გარკვევა კანონით, ამ უფლებების განსაზღვრა. მიწის და მადნების მფლობელობა მხოლოდ რესპუბლიკის მოქალაქეებს შეუძლიათ.

21. ავსტრალიაში მომქმედ სავაჭრო და სამრეწველო სააქციო საზოგადოებათა იმ წევრთაგან გადასახადის აღება, ვინც უცხოელია ან უცხოეთში ბინადრობს.

22. ბოროტმოქმედთა საზოგადო სამუშაოზე გამოყენება თავისუფალ მოქალაქეთა და ერის სასარგებლოდ.

23. მცონარეები მთავრობამ ძალად უნდა ამუშაოს სახელმწიფო ქონების გასაუმჯობესებლად.

24. სამსახურში მყოფი პირები პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვისმე მიაყენეს ზიანი ან ზარალი უმოქმედობით ან უფლების გადამეტებით.

25. რესპუბლიკის დედაქალაქში ეროვნულ უნივერსიტეტის დაარსება მოქალაქეების მოსამზადებლად.

26. ზომის, წონის და ფულის მეტრიულ სისტემის შემოღება.

27. ყველას მთავრობამ უნდა მისცეს.

28. პროგრესიულ სამკვიდრო-მამულო გადასახადის შემოღება იმ მიზნით, რომ დიდი მამული ერთ ხელში არ მოგროვდეს.

29. კანონის გამოცემა ოჯახის შესახებ. ამ კანონმა უზრუნველ ჰყოს ოჯახის საწმინდე და ყველა ოჯახისათვის უზრუნველ ჰყოს ადგილის მიღება დასამუშავებლად.

30. კანონის გამოცემა გაზეთების შესახებ. გაზეთების გამოცემა მხოლოდ რესპუბლიკისაგან გამოცემულ ხარტიის ძალით. ეს ხარტია ერთმევა გაზეთს, რომელიც სასამართლომ სამგზით გაამტყუნა ცილისწამებისათვის რესპუბლიკის დაწესებულებათა შესახებ, სახელმწიფო ღალატისათვის და უზნეო წერილების ბეჭდვისთვის.

31. საერთაშორისო სასამართლოს შესახებ კანონი. რესპუბლიკა უნდა სცდილობდეს, რომ დაარსდეს საერთაშორისო სასამართლო და რომ მის გადაწყვეტილებაზე აპელაცია იყოს.

32. აღმასრულებელ ძალის მეთაური—პრეზიდენტი ან გენერალ-გუბერნატორი, პირველი მინისტრი და მხედრობის უფროსი ავსტრალიელი მკვიდრნი უნდა იყვნენ.

33. რესპუბლიკის უმაღლესი უფლება მიენდობა ავსტრალიის პარლამენტს, რომელიც შესდგება სენატისა და საერო წარმომადგენელთა პალატისაგან.

ეროვნულ კომიტეტის თავმჯდომარე
ჯონ სტილი.

მუშათა ნივთიერი მდგომარეობა გერმანიაში

ამას წინად ბერლინისა და დრეზდენის მუშებს შეეკითხნენ: წელიწადში ვის რამდენი შემოსავალი გაქვთო? აღმოჩნდა, რომ მუშის შემოსავალი წელიწადში 350 მანათიდან 1,020 მანათამდე ადის. ორთა-შუა რიცხვით, თითო მუშას 60 თუმანი ჰქონია წლიური შემოსავალი. აქედან უდიდესი ხარჯი სახლის ქირაში მიდის—21 პროცენტი, ანუ 126 მანათი. მუშებში მეტად გავრცელებულია დამზოგველობა. თითქმის ნახევარზე მეტი წილი მუშებისა წელიწადში ხუთ თუმანს შავის დღისთვის მაინც გადასდებს. თუმცა მათში დავალიანებულიც ბევრია. ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ ავადმყოფობის დროს მუშას ხელფასი ესპობა. ვალის აღება უმთავრესად იარაღებისა, ტანისამოსისა ავეჯისა, საკერავ-მანქანისა და ველოსიპედების ყიდვისთვის სჭირდებათ.

გერმანიაში თითქმის ყველა მაღაზია იძლევა საჭირო ნივთებს ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით. ეს გარემოება მეტად უადვილებს მუშას საჭირო ნივთების შეძენას, მაგრამ, სამაგიეროდ, ავალიანებს კიდეც.

მუშების ერთი მეოთხედი ბინას უვარგისობას უჩივის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანიაში ბინის „ვარგისობა“ იმას ნიშნავს, რომ ოჯახის ყოველ წევრს საკუთარი საწოლი ჰქონდეს. ჭურჭელი და სამზარეულოს სხვა მოწყობილობა თანაბარი არა აქვთ: ზოგს მოჭარბებულიც აქვს, ზოგს კი მეტად ნაკლებულება ემჩნევა. პირსაბანი იშვიათი მოვლენაა მუშის ოჯახში, ლამპა კი აუცილებლად ყველგან არის. გამოკითხულ მუშებთა შორის მხოლოდ 32 კაცს ჰქონდა ორ-ორი შლიაპა, მუშა ქალებში კი ორ-შლიაპიანი 75 აღმოჩნდა. სარეცხისა და საცვლების საქმე უნუგეშო მდგომარეობაშია: მხოლოდ ორ მეხუთედს აღმოაჩნდა თითო წყვილი საური და ბალიშის პირი. საცვლები კი საშუალოდ, თითო კაცს 7 ცალი, ხოლო ქალებს კი 11 ცალი აღმოაჩნდათ. „სალუქსო“ ნივთებში პირველი ადგილი საათს უჭირავს. იშვიათი მუშა იქნება, რომ საათი არა ჰქონდეს.

მუშის სადგომი, ჩვეულებრივ, ფოტოგრაფიულის სურათებითაა მორთული. ყველა ოჯახში ნახავთ წიგნებს, მომეტებულად პოლიტიკურის შინაარსისას, კანტი-კუნტად სამღვთო წიგნებიც შეგხვდებათ.

შიგ ბერლინში მუშათა მოთხოვნილებანი უფრო რთული და მრავალ ფერია. მუშის წლიური შემოსავალი აქ, ორთა-შუა რიცხვით, 80 თუმნიდან 850 მანათამდე ადის. უმთავრესი ხარჯი ჭამა-სმას უნდება, 48 პროცენტი (თითქმის ნახევარი), სახლი განათება-გათბობით 20 პროცენტი, ტანისამოსი—8 პროცენტი... ასე რომ, უმთავრესი ხარჯი შემოსავლის სამ მეოთხედს უდრის. ბერლინის მუშის უმთავრესი საზრდო ხორცი, კარაქი, ღორის ქონი, კალბასი და პურია; არც ლუდზე ხარჯავენ ნაკლებს. გერმანიაში ლუდი ისეთივე აუცილებელი სასმელია, როგორც ჩვენი ღარიბი გლეხისთვის ხმელ ლუკმის ჩასაყოლებლად წყალი. ქალაქში მიმოსვლაზე ტრამვაით, თუ კონკით, მუშა ახარჯავს საშუალოდ მთელ შემოსავლის 1,8 პროცენტს, წიგნებსა და გაზეთებზე—3 პროცენტს (ზედ-მიწევნით 24—26 მან.), ექიმობაზე მუშის ოჯახი წლიურ შემოსავლის 1,8 პროცენტზე მეტს არა ხარჯავს (ზედ მიწევნით 15—16 მან.). ეს აშკარად ჰმოწმობს, რომ გერმანიაში უფასო წამლობა უმაღლეს წერტილამდეა გავრცელებული.

უცხოეთი

ბელგია, რუსები ბელგიაში. ერთს ბელგიურ გაზეთში ამოვიკითხეთ, რომ „ბელგიის უდიდეს ქალაქების ქუჩებზე აუარებელი რუსი მათხოვარნი დაწანწალობენ... ან კი რუსეთი სხვას რას გამოგზავნის ბელგიაში, თუ არა თავის უმთავრესს ნაწარმოებს—ბოგანო გალატაკებულ ხალხს!“ 1902—1903 წლის განმავლობაში რუსების რიცხვი 900-დან 3 ათასამდე ავიდა. კიშინიოვისა, გომელისა, ლოძისა, მინსკისა, ვარშავისა, ოდესის, ბელოსტოკის ამბებმა და ომმა მოსწყვიტა ამდენი ბოგანო ხალხი სამშობლო ნიადაგს. თუ წინად მოსწავლე ახალგაზრდობა გაურბოდა რუსეთს და ევროპას აფარებდა თავს, დღეს გარბის ყველა—მოხუცი და ყმაწვილი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა. გარბის ევროპაში ყოვლად უსახსრო, ყოვლად მოუმზადებელი, ზრუნვას მოკლებული. ბელგიას კი უფრო მისთვის [illegible] ბოლო დროს ამოდენა ხალხი, რომ გერმანია, „მეგობრულ განწყობილების“ მიუხედავად, სდევნის შეხიზნულ რუსობას. რა მოელის ამ ბოგანო ხალხს ბელგიაში?.. რითი უნდა ირჩინოს თავი? ბელგიაში თვითონ ადგილობრივი პროლეტარიატიც ნახევრად მშიერია, სანოვაგე ერთი სამად უფრო ძვირია, ვიდრე რუსეთის დიდს ქალაქებში. მაშასადამე, რაიმე კერძო თუ ოფიციალურ დახმარების იმედი მოსალოდნელი არ არის... როდის უნდა შეიცვალოს არსებული რეჟიმი რუსეთში, რომ მისი წყალობით გარიყული და უცხოეთში გადახვეწილი ბოგანო ხალხი, სამშობლო კერას დაუბრუნდეს?..

საფრანგეთი. ეპისკოპოსთა კრება. როგორც გაზეთები გვატყობინებენ, ახლო მომავალში შეიკრიბებიან საფრანგეთის გავლენიანი და ცნობილი ეპისკოპოსები, რომ გადასწყვიტონ, რა გზას უნდა დაადგეს ეკლესია, როდესაც ორივე პალატა შეიწყნარებს ეკლესიის გამოცალკევებას და კონკორდატს გააუქმებს.

მუშათა გაფიცვა ლონგვში (მერცისა და მოზელის დეპარტამენტები). თითქმის ერთი თვე სრულდება, რაც ქვა-ნახშირის მადნებში მუშები გაიფიცნენ. ქვა-ნახშირის მუშებს ხელფასი ვაგონების წონაზე აქვთ გადაწყვეტილი. ვაგონებს კი მადნებისა და ქარხნების პატრონისაგან მიჩემებული კაცი სწონავს. მუშებმა მოითხოვეს, რომ ეს მესასწორე მათ-მიერ ინიშნებოდეს და კონტროლიც მუშებმავე გაუწიონ. წარსულ კვირას სოლონში იქამდე გამწვავდა საქმე, რომ გაფიცულებმა ჯარის კაცებს და ჟანდარმებს ქვები დაუშინეს და რევოლვერების სროლა დაიწყეს. ოთხი ჟანდარმი დაიჭრა ხუთი მუშა დაატუსაღეს. ოთხმაგათ ხარაჩოებში დამალულმა გაფიცულებმა ქარხნების ფეჩების მშენებელ მუშებს აუტეხეს სროლა, რადგან იგინი არ მიემხრნენ მათ. შეშინებულმა მეფეჩეებმა საქმეს თავი მიანებეს და დაიქაქსნენ. სროლის დროს არავინ არ დაზარალებულა, რადგან გაფიცულებმა მხოლოდ შესაშინებლად აუტეხეს სროლა. 13 ივლისს მუშებისა და აღების გაერთებული კრება მოხდა. მუშებმა მოითხოვეს, რომ მესასწორეებს მუშებმა აირჩიონ და ჯამაგირიც თვითონ დაუნიშნონ, ხე-ტყის მასალა გვირაბების მახლობლად მიიტანონ ხოლმე, პატრონებმა ანგარიში ორ კვირაში ერთხელ მისცენ და ფასი თითო ტონ ქვა-ნახშირზე 40 კ. მაგივრად 45 კ. მიეცეთ. რადგან ეს მოთხოვნილებანი პატრონებმა არ დააკმაყოფილეს, გაფიცვას კვლავ განაგრძობენ.

კორესპონდენცია

—

შუა-ქართლი. შავი რაზმის თარეში. როგორც მოსალოდნელი იყო, შავმა რაზმმა შუაქართლის სოფლებში თარეში დაიწყო. გლეხობასა და რაზმს მცირე შეტაკებები მოსდიოდათ, მაგრამ 20-ს ივლისს მომხდარმა ამბავმა გლეხობა მეტად გაამწვავა

ლებათ ილლებიანო, ამბობენ ისინი, და მშვენიერების სამთავროს მხოლოდ ის ეკუთვნის, რაც უფრო ნაკლებად ღლავს ნერვებს და რაც უფრო ადვილად შედის წარმოდგენაში.

ამაზე მეტს არც ერთი ესტეტიკა არ გვეუბნება. მართალია, ბევრი ტომებია დაწერილი მშვენიერების დასახასიათებლად, მაგრამ ყველა მხოლოდ იმ პირობების გარშემო ტრიალებს, რომლებიც ჩვენ ჩამოვთვალეთ. თუ რამდენად გამოურკვეველია მშვენიერების კითხვა დღეს და რამდენად ძნელია მშვენიერების გამორკვევა და გამოცნობა ყოველ კერძო შემთხვევაში, ამის მაგალითს ბევრს გვაძლევს კრიტიკის ისტორია. ლიტერატურის ისტორიამ არ იცის არც ერთი მწერალი, რომლის შესახებაც ორ სხვადასხვა კრიტიკას ერთგვარი აზრი გამოეთქვას. ამგვარი მაგალითებიც კი ბევრია, რომ იქ, სადაც ერთი სრულ არარაობას ხედავს, მეორე დიდ ტალანტს პოულობს. მაგალითად, ამ ორი-სამი წლის წინად ბ-ნი იაკობ ფანცხავა „ივერიის“ ფურცლებზე ჩიოდა: უფალ გორკის თაყვანსა სცემენ, ალ. ჭავჭავაძეს კი არაო. მე კი რომ მკითხოთ, ალექსანდრე ჭავჭავაძე გორკისთან იმდენადვეა მოსატანი, რამდენადაც რკო ფორთოხალთან.

ამგვარად, ზემოდ აღძრულ კითხვებზე ჩვენ შეგვიძლია შემდეგი ვუპასუხოთ: მშვენიერებას, ერთის მხრით, მიტომ ეტანება ადამიანი, რომ სულიერი სიამოვნება ადამიანის მოთხოვნილებას შეადგენს, მეორეს მხრით, მიტომ, რომ მშვენიერება გვაძლევს ძლიერ სულიერ სიამოვნებას და ამავე დროს ნაკლებად გვიღალავს ნერვებს. იმ ფაქტს, რომ მშვენიერება იწვევს ადამიანში სულიერ სიამონებას, სულიერი სიამოვნება კი ადამიანის ერთი უძლიერეს მოთხოვნილებას შეადგენს, კაცობრიობის ისტორიაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს მნიშვნელობა არსად არა სჩანს ისე ცხადად, ისე აშკარად, როგორც ხელოვნებაში. რა იქმნებოდა ხელოვნება, რომ სულიერი სიამოვნება ადამიანის ძლიერ წყურვილს არ შეადგენდეს?—მოცლილ კაცის ვარჯიშობა, მეტი არაფერი. გაცილებით ნაკლებიც—ხელოვნება სრულებით არ იქმნებოდა... სულიერ სიამოვნების წყურვილი ყოველგვარ ხელოვნების არსებობისათვის აუცილებელ პირობას შეადგენს და, თუ პირველს ადამიანი მოკლებული იქმნებოდა, ამით ხელოვნებასაც აღარ ექმნებოდა ცხოვრებაში აღარავითარი ალაგი. ცხოვრება, მშვენიერებას მოკლებული, ცხოვრება უიდეალო, ადამიანი მხოლოდ კუჭის მატარებელი—აი, რა იქმნებოდა. მაგრამ ჩვენ ხელოვნებაზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი. ხელოვნება ბევრგვარია: მხატვრობა, მუსიკა, პლასტიკა, ხუროთ-მოძღვრება, პოეზია და სხვა. რა იქმნებოდა რაფაელის მადონნა, რომ ადამიანი მოკლებული იყოს გრძნობას მშვენიერებისას, რომ სულიერი სიამოვნება მის მოთხოვნილებას არ შეადგენდეს?—ნაყოფი უსარგებლო შრომისა! რა სახელს დაიმსახურებდა ბეთჰოვენი, რომ ქვეყნად სულიერი სიამოვნება არ არსებობდეს?—შეშლილისას. გამოჩენილ ფიდიუსის სახელი ხომ არც კი ეცოდინებოდა ისტორიას და ყველა გამოჩენილი მწერლები იხსენიებოდნენ მხოლოდ, როგორც ცოცხალი მაგალითი იმ საბრალო პირთა, რომლებიც იბადებიან მისთვის, რომ მთელი თავისი სიცოცხლე წყლის ნაყვას შეალიონ!

საბედნიეროდ, ეს ასე არ არის. ხელოვნება ერთ უძლიერეს სამკაულს შეადგენს ცხოვრებისას და მას ეტანება ყველა, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა.

სიტყვა-კაზმული მწერლობა, ანუ საერთოდ პოეზია, ხელოვნების ერთერთ დარგს წარმოადგენს. მწერლობის არცერთ ნაწილს არა აქვს იმდენი მოთხოვნილება და გასავალი ცხოვრებაში, როგორც პოეზიას. არც ერთ მწერალს არა ჰყავს იმდენი თაყვანის-მცემელი, რამდენიც პოეტს. აიღეთ გამოჩენილი მეცნიერი და გამოჩენილი პოეტი. განა პირველს ნაკლები სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის, ვიდრე მეორეს?—არაოდეს,—სულ ხშირად მეტიც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირველი მოკლებულია იმ საერთო თაყვანის-ცემას, რომელიც მეორეს ყველგან თან დასდევს. დავანებოთ მეცნიერთა თავი, ავიღოთ რომელიმე პრაქტიკული მოღვაწე, თუნდა უატტი. ათას შექსპირს არ შეუძლიან იმდენის ცვლილების მოხდენა ცხოვრებაში და იმდენის პრაქტიკულ სარგებლობის მოტანა კაცობრიობისათვის, რაც ერთმა უატტმა მოახდინა. მაგრამ სად შექსპირის სახელი და სად უატტისა! მერე აქ განა უსამართლობა და უმადურობაა საზოგადოების მიერ მოღვაწისადმი? სრულებითაც არა. უატტი იძლევა მშრალ სარგებლობას, შექსპირი კი, სარგებლობის გარდა, ძლიერ სულიერ სიამოვნებას,—აი ამ სულიერ სიამოვნებაშია თავიდა ძალა დამარხული. მიეცით საზოგადოებას სულიერი სიამოვნება და ის გაგაღმერთებთ. ამგვარად, პოეზიის raison d'être-ს სულიერი სიამოვნება შეადგენს,—უმისოდ პოეზიის არსებობა შეუძლებელი შეიქმნებოდა.

რით მოქმედებს მკითხველზე პოეზია, როგორც მშვენიერება, ე. ი. რა პირობები, რა თვისებანი ახასიათებს პოეზიას, როგორც მშვენიერებას? ამგვარი თვისება მრავალია. პოეზია ბევრგვარია: სალირიკო, საეპოსო, ბელეტრისტიული, სასცენო და სხ. ყველა ამათგანს სპეციფიკური თვისებანი აქვს, მაგრამ ამავე დროს ყველა მათგანისათვის მრავალი საერთო თვისებანიც სავალდებულოა.

ერთს მთავარს პირობას პოეზიისათვის წარმოადგენს **მხატვრული ენა**. თუ საზოგადოდ დღევანდელი კრიტიკა ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ მხარეს და, როდესაც შეეხება, ისიც რამდენისამე სიტყვით, ამის მიზეზი ის არის, რომ მხატვრულ ენის საჭიროება პოეზიისათვის ანბანური ჭეშმარიტებაა და, თუ პოეზიაში ეს ჭეშმარიტება დაცული არ არის, ამის მიზეზი პოეტის გულმავიწყობა, თავისებურობა და სალიტერატურო სკოლა კი არ არის, არამედ მხატვრულ ენის უქონლობა და, საზოგადოდ, ენის უცოდინარობა: ლიტერატურაში ბევრგვარი სკოლა არსებობდა და დღესაც არსებობს, მათ შორის პრინციპიალური განსხვავებაა, ხოლო ლიტერატურის ისტორიამ არ იცის ორი სხვადასხვა სკოლა, რომელნიც მხატვრული ენის შესახებ ერთგვარი აზრისანი არ იყვნენ, მართალია, ხანდახან შეხვდებით, რომ ერთი სკოლა უფრო ძველს ფორმებს და სტილს იცავს პოეზიაში, მეორე კი უფრო ახალს, ხოლო იმაში, რომ ენა მხატვრული უნდა იყოს, ყველანი თანახმანი არიან. მხატვრულ ენას ახასიათებს ენის სიმარტივე, სიადვილე, სიმდიდრე და სხვ.

მეორე მთავარ პირობას პოეზიისათვის წარმოადგენს **მხატვრული აღწერილობა**. გარეშე საგნები და მოვლენანი ისეთი სისწორით, სინამდვილითა და სიცხოველით უნდა იყოს დახატული, რომ მკითხველს ნათელი სურათი წარმოუდგეს გონებაში. როდესაც თქვენ, მაგ., კითხულობთ „ოთარაანთ ქვრივს“, თქვენს გონებაში ნათლად იხატება „ოთარაანთ ქვრივის“ სურათი, გარეგნობიდან მოკიდებული ხასიათის ყოველ წვრილმანამდე; ამიტომ ამ ქვრივის აღწერაში ავტორი უნაკლულო პოეტია, ხოლო არჩილისა და მისი დის აღწერილობა გვაძლევს გამოურკვეველს, დაბურულ სურათს, თითქოს ისინი პოეტს ჩრდილში დაუნახავსო, და ამიტომ მათს აღწერაში იგივე ავტორი ფრიად სუსტია.

მესამე მთავარ პირობას პოეზიისას წარმოადგენს **მხატვრული გამოხატულება**. თავის ფიქრებსა და გრძნობებს პოეტი ისეთის სისწრფელითა და სინამდვილით უნდა ხატავდეს, რომ მკითხველი ნათლად იხედებოდეს პოეტის სულსა და გულში.

მეოთხე მთავარ პირობას წარმოადგენს **ზომიერება ანუ სიმეტრია**; ყველა ნაწილები ისე უნდა იყოს ერთმანეთთან შეხამებული, რომ, ერთის მხრით, ერთმანეთს ამშვენებდნენ და, მეორეს მხრით, არც ერთ მათგანის გამოკლება არ შეიძლებოდეს. აქვე შედის რიფმის მნიშვნელობა, რითმი, ხმოვანთა წყობის ერთგვარობა და სხვ. როდესაც კითხულობთ თანამედროვე პიესებს, ხშირად არა თუ მთელი გამოსვლა, მთელი მოქმედება ისეა ჩაკერებული, რომ მის არსებობას არაფერი ამართლებს და მის გამოკლებითაც არაფერი აკლდება პიესას.

ყველა აღნიშნული პირობანი წარმოადგენენ მხოლოდ გარეგან მხარეს პოეზიისას. არის შინაგანი მხარეც, რომელიც მხოლოდ იმ შთაბეჭდილებაზეა დამყარებული, რასაც მკითხველში პოეზია იწვევს ან უნდა იწვევდეს. მაგალითად: პოეტი მართლა უნდა განიცდიდეს იმ ფიქრებსა და გრძნობებს, რომლებსაც ხატავს,—გულწრფელი უნდა იყოს, უნდა იწვევდეს მთლიან შთაბეჭდილებას, უნდა აღძრავდეს იმგვარის თვისებისა და ძლიერების ფიქრსა და გრძნობებს, როგორსაც თვითონ განიცდის ხოლმე შემოქმედების დროს. მაგრამ, რადგანაც ეს მხარე პოეზიისა ყველას თავისებურად ესმის და გამორკვეული და უტყუარად მიჩნეული აქ დღეს თითქმის არაფერია, ამიტომ ამის განხილვასაც არ გამოვუდგები, მით უმეტეს, რომ ეს მხარე პოეზიისა იმდენად პოეზიის მშვენიერებას არ ახასიათებს, რამდენადაც პოეზიის მნიშვნელობას და ამ მნიშვნელობის პირობებს.

ამგვარად, პოეზიის არსებობა ერთიანად დამყარებულია სულიერ სიამოვნებაზე, მაგრამ, ნუ თუ მისი უმაღლესი მიზანი სულიერი სიამოვნებაა? მისი მიზანი მარტო სულიერი სიამოვნებაა,—ამბობს ერთი; პოეზია დაშორებული უნდა იყოს პრაქტიკულ მიზანს,—ამბობს მეორე; პოეზია უნდა ავითარებდეს მხოლოთ გემოვნებას მშვენიერებისას,—ამტკიცებს მესამე; პოეზია უნდა ემსახურებოდეს ცხოვრების წინ-მსვლელობას, ქადაგებს მეოთხე, და ასე ამგვარად ათასნაირი პასუხი ისმის პოეზიის მნიშვნელობის შესახებ. აი ამ აზრთა სხვადასხვაობის გაკაფვას, გარკვევას ცდილობს მწერლობის ის დარგი, რომელსაც სალიტერატურო კრიტიკა ეწოდება.

რა არის სალიტერატურო კრიტიკა, როგორია მისი საზღვრები და რა არის მისი საგანი, არის თუ არა საზოგადოდ საჭირო სალიტერატურო კრიტიკა, აქვს მას რაიმე დამოუკიდებელი მნიშვნელობა, თუ ის მეტი ბარგია, მხოლოდ მაჩანჩალა პოეზიისა? ამ უკანასკნელ საკითხის გადაწყვეტა მით უმეტეს საჭიროა, რომ ბევრი და მათ შორის შესანიშნავი პირნიც იმ აზრისანი არიან, რომ კრიტიკა სრულებით მეტია, მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. მაგალითად: რუსეთის გამოჩენილი მწერალი და ფილოსოფოსი ტოლსტოი სალიტერატურო კრიტიკას სრულებით უარყოფს. თუ კრიტიკა დაიწყებს ფათურს იქ, სადაც მისი ალაგი არ არის, მას არა თუ არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება, სასაცილოდაც გაიხდის თავს. თუ კრიტიკა გამოირკვევს თავის საგანს, გამოიფარგლავს, გამოისაზღვრავს თავის სარბიელს, ამგვარ შემთხვევაში ის წარმოადგენს მთელ ფილოსოფიას პოეზიისას.

სამწუხაროდ, დღეს ასე არ არის: ყოველგვარი დომხალი, რაც კი პოეზიის შესახებ იკაზმება, კრიტიკის სახელით საღდება. საზოგადოდ მიღებულია, ვითომ კრიტიკის მიზანი იყოს პოეზიის დაფასება, მისი ღირსება-ნაკლულევანების გამორკვევა მშვენიერების მხრით. ეს სრული შეცდომაა. წარმოიდგინეთ, რომ თქვენს კითხვაზე,—რა არის სტოლი, ვინმემ გიპასუხოს: სტოლი არის ავეჯი, რომელსაც ოთხი ფეხი აქვსო. აქ შეცდომა ცხადია: ერთი რომ ოთხი ფეხი ტახტსაც კი აქვს და სკამსაც და სხვ. მეორე—ოთხი ფეხი სრულებითაც არ არის სტოლისთვის სავალდებულო ნაწილი და ნიშნობლივი თვისება: შესაძლებელია, მას ათი ფეხი ჰქონდეს, ნა, ერთი და მაინც სტოლი იყოს. აგრეთვე დაფასება პოეზიისა სრულებითაც არ შეადგენს კრიტიკის სპეციფიკურ თვისებას,—მას შეუძლია, სხვათა შორის, ამასაც მოჰკიდოს ხელი, ხოლო მისი საგანი, მისი მიზანი უფრო ფართოა. ყოველგვარი მოძღვრება იმას უნდა ცდილობდეს, რომ მეცნიერებად გახდეს; იქითკენ უნდა იწევდეს კრიტიკაც. რა ახასიათებს მეცნიერებას საზოგადოდ? თავის განვითარების დაბალ საფეხურზე იგი ხსნის მოვლენათა განსაზღვრულ ფარგალს, განვითარების საშუალო საფეხურზე იგი ადგენს უტყუარ ემპირიულ კანონებს და, როდესაც იგი საკმაოდ განვითარდება, მას საშუალება ეძლევა, გამოკვლეულ კანონების მიხედვით, მომავალიც იკვლიოს, მომავალზე თავისი სწორი მსჯავრი წარმოთქვას.

ამგვარ კვლევაში მას გზას უნათებს შესაფერი მეთოდი. როგორც მეცნიერება, კრიტიკა ჯერ განვითარების პირველ საფეხურზეც არ შემდგარა. მისი საგანია პოეზია; ის იკვლევს პოეზიას, მაგრამ როგორ და რანაირად? კრიტიკის საზღვარი იწყება იქ, სადაც პოეზიისა თავდება, კრიტიკისათვის პოეზია არის ფაქტი ისე, როგორც ბიოლოგიისათვის უჯრედი და ასტრონომიისათვის მზის სისტემა. კრიტიკამ უნდა ახსნას ეს ფაქტი—პოეზია, ე. ი. კრიტიკამ უნდა გამოიკვლიოს ხელოვნების პროცესი, ანუ შემოქმედება—ერთი; მეორე—მან უნდა ახსნას ის პირობები, რომლებიც ბადავენ ამა თუ იმ სახის პოეზიას. პირველი საკითხი არის საკითხი პსიხოლოგიური, მეორე კი საზოგადოებრივი. ამგვარად, კრიტიკას კავშირი აქვს ფსიხოლოგიასთან, ფიზიოლოგიასთან და ყველა იმ მეცნიერებასთან, რომლების საგანიც საზოგადოებრივი ცხოვრებაა, როგორც სოციოლოგია, პოლიტიკური ეკონომია, უფლებათა მეცნიერება და სხვა.

შემოქმედებისა და პოეზიის ახსნის გარდა, კრიტიკას აქვს კიდევ ერთი დიდი მოვალეობა: მან უნდა გამოარკვიოს პოეზიის საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამგვარად, კრიტიკამ პასუხი უნდა მოგვცეს შემდეგ სამ კითხვაზე: რა არის შემოქმედება? რა ინდივიდუალურ-საზოგადოებრივ ფაქტორებს ემორჩილება პოეზია? რა საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს პოეზიას? თუ ამგვარ ნიადაგზე დავაყენებთ კრიტიკას, მას უსათუოდ ეძლევა დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ამ ნიადაგს გარეშე კრიტიკა სრულებით მეტია და, როგორც ყოველივე მეტი,—უსარგებლოც.

ი. გომართელი.

20-ს ამ თვეს, ღამის ათ საათზე, ს. ქვემო-ნიქოზში თავ. ზაქარია ფავლენიშვილს შავი რაზმელები დაეცნენ თავს. გარედ რამდენიმე ცხენოსანი ჩასაფრებულიყო, ხოლო ხუთი შეიარაღებული სახლში ასჭროდა, ზაქარია თავის მეუღლესთან ერთად ბაღში დამალულიყო. სახლში დარჩენილიყო მღვდლის დ. კაპანაძის მეუღლე. რაზმელებს ხანჯლები დაებჯინათ ყელში ამ ქალისათვის და სთხოვდნენ: გვითხარი, სად არის ზაქარია, ან ფული სადა გაქვთო. ქალს, შიშით, გული წასვლოდა. რაინდებს გულ-შეწუხებული ქალი მიეტოვებინათ და კამოდ-შკაფებში ხელახლა დაეწყოთ. წაეღოთ ყველაფერი, რაც კი რამ მოხვდათ: ოქროს საათი, ათი თუმანი ფული და, ასე გასინჯეთ, ზაქარიას საცვლებიც კი. რის წაღებაც ვერ მოახერხეს, სულ დალეწეს და დაამტვრიეს. ბოლოს სათონეს ცეცხლი მოუკიდეს და ისევ იქვე ჩასაფრდნენ.

სოფლად გაისმა ხმა, შავი რაზმი დაეცა ზ. ფავლენიშვილის სახლს და უშველეთო. ერთი ახალგაზდა უმაწვილი გაქანებულიყო, თოფით ხელში, სადაც ცეცხლი ეკიდა, მივარდა თუ არა დაუხვდნენ ტარიელ-მგლავაძეები, დაახალეს თოფი და იქვე უსულოდ დასცეს.

ამის გამგონი, მახლობელი სოფლები, შავი რაზმის წინააღმდეგ ამხედრდნენ. რაზმელებს შეეშინდათ და იმ სოფლიდან წასვლა დააშურეს.

გზაზე, იქვე მახლობლად, დაეჭირათ ტირძნისის სკოლის მოწაფე შაუტაშვილი, თოფის კონდახით სულ დაეჟეჟათ, თავი გაეჩეხათ, თოკი მოებათ ყელზე და ისე ეთრიათ.

გლეხებმა ყველა სოფელში ზარების რეკა ასტეხეს და ყველას საბრძოლველად იწვევდნენ. გლეხობა ფრონის ხეობაში წავიდა ოსების შესატყობინებლად.

რაინდებმა თავს უშველეს და ტირძნისში, ნ. სულხანიშვილისას წავიდნენ (ამბობენ, ნიკო სულხანიშვილისა და აპოლონ მაჩაბელის მეთაურობით იყო ეს რაზმი შემდგარიო).

ამ ღამეს ნიქოზის გარშემო რამდენიმე ათასი ბერდანის თოფებით თუ აინალებით და სხვა იარაღით შეიარაღებული კაცი იდგა. ათასამდე ქართველობა კიდევ ს. ავნევში გაჩერებულიყო მაგრამ, კარგა ხნის საუბრის შემდეგ, ძლივს დააშოშმინეს და დაშალეს.

22-ს ივლისს ს. ქვემო-ნიქოზში დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ მიწისთვის მიებარებინათ შავი რაზმელების-მიერ მოკლული ახალგაზდა, 21 წლის უმაწვილი ვაჟკაცი, ალ. მეტრეველი.

ეკლესიის გარშემო ორასზე მეტი, სულ რჩეული, ვაჟკაცი იდგა შეიარაღებული, და გულშემატკივარნი შესაფერ სიტყვებს ამბობდნენ. მეტრეველის დასაფლავების შემდეგ, ხუთი ათასამდე კაცი, წითელის დროშებითა და მარსელიეზას სიმღერით სოფლებისაკენ გაემართა.

ქარ-ცეცხლი.

—

კახეთი. ის ქარიშხალი, რომელიც კახეთში ამ უკანასკნელ ერთი თვის განმავლობაში გრიალებდა, თითქმის შესწყდა. და ვითომ ჩვეულებრივი, „მველებური“ ცხოვრება დაიწყო. მემამულენი არხეინად იყვნენ, ეგონათ, რომ კაზაკ-რუსების წყალობით, მოძრაობა სოფლად სულ ჩაქრაო. მაგრამ, გაჰქრა ეს ოცნება. ხალხის გულში ანთებული ცეცხლი არ გამქრალა და, ამ ბოლო დღეებში, ისევ გაძრიელდა. დადგა დრო დალების შეკრებისა და მემამულეებმა მეოთხედზე მკვახე უარი მიიღეს.

ერთად-ერთი მათი იმედი იყო თავადი ზაქარია ჭავჭავაძე და მოუთმენლად მოელოდნენ. მართლაც, ესტუმრა კახეთს თავადი ზ. ჭავჭავაძე გენერალ სტახოვიჩით. თავადი დადის სოფელ-სოფელ და აშინებს გლეხკაცობას, ურჩევს, მისცენ ნათხლები. მაგრამ გადაწყვეტილ უარს ამბობენ ყველგან.

პირველად თავადმა სოფ. ვაჩნაძიანის გლეხობა შეჰკრიბა. ამ სოფელში, მემამულეთა წყალობით, თითქმის ყველაზე მეტად იყო გამწვავებული საქმე. თავადი ცდილობდა, ხალხი თავადებთან მოერიგებინა, მაგრამ გლეხები თავისას გაიძახოდნენ,—მეოთხედს ვერ მივცემთო. თუ უნდათ, მეათედს დაგვჯერდნენო. თავადმა გამოუცხადა აგრეთვე, რომ ყველა ის ზარალი, რომელიც მიაყენეს თავადებს ან მომავალში მიაყენებენ—გადახდებათ, რისთვისაც დაარსდება ცალკე კომისიებიო. ხალხმა ესეც გულგრილად მოისმინა და უკმაყოფილო იმითი, რომ ერთ დღეს მოსცდა, დაიშალა. თავადი ზაქარია გამოჰყვა სოფლებს, გადმოიარა წინანდალში. იქ დაიბარა ხალხი. იქაც იგივე ცივი უარი მიიღო.

21 ამ თვეს ხალხი დაბარებული იყო სოფელ კურდღელაურში. შეიკრიბნენ შალაურელები, კურდღელაურელები და გულგულელები, ასე 400 კაცი, სულ ახალგაზდობა, რამაც თავადის ყურადღებაც კი მიიქცია. ხალხი შეკრებილი იყო კავთასთან, ორივე მხრივ იდგნენ კაზაკები და სტრაჟნიკები, ხოლო ცოტა ზემოდ ელოდებოდა ადგილობრივი პოლკი მუზიკით. ასე 10 საათისათვის მოვიდნენ თავ. ზაქარია, გენერალი სტახოვიჩი, მაზრის უფროსი, მომრიგებელი შუაკაცი და თავად-აზნაურთა წინამძღოლი. ნამესტნიკის გლეხებისადმი მოწოდების წაკითხვის შემდეგ, თავადმა ზაქარიამ ხალხს შემდეგის სიტყვით მიჰმართა: „გავიგე, რომ თქვენ თავად-აზნაურობას წინააღმდეგობას უწევთ და ჩამოვედ, რომ როგორმე მოგარიგოთო“. ამაზე ერთმა გლეხთაგანმა გაბედულად მოახსენა: ჩვენ, ბატონო, თავადებს „მაშინ მოვურიგდებით, როცა ჩვენს მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებენ. რაც უნდა გვიყოთ. მეათედზე მეტს ვერ მივცემთ. აი, სალდათები და სტრაჟნიკები აქ არიან, უთხარით, თუნდა დაგვხოცონ, ჩვენ სიკვდილი გვირჩევნია. თუ არა და, მარტო ჩვენ ხომ არა ვართ, მთელი ქართლი და იმერეთიც ამასა თხოულობს, ალბად ყველას ცხოვრება გასჭირებია“. თავადმა შენიშნა: ქართლი უკვე დამშვიდდაო. მაგრამ გლეხმა უპასუხა: ბატონო, გუშინაც წავიკითხე გაზეთი და გავიგე, რა ამბავიც არის ქართლში.—გაზეთები სტყუიან იმათ ნუ დაუჯერთო, კიდევ შენიშნა თავადმა და დაუმატა: თქვენ თავადებს თავი დაანებეთ და მთავრობა სახელმწიფო მამულებს დაგირიგებთ, ხოლო თქვენ უნდა შეისყიდოთ. ამის გულისთვის კი დაარსდება საგლეხო ბანკები. გლეხებს არაფრად მოეწონათ ეს აზრიც. „ჩვენ გამოსყიდვა არ შეგვიძლიან, ჩვენ ჩვენს მიწებს ვითხოულობთ. ჩვენი მიწები თავადებს უჭირავთო“—ამბობდნენ გლეხები.

თავადი ძლიან უკმაყოფილო დაბრუნდა. „ამათთანა ბრიყვი და შეუგნებელი ხალხი არსად შემხვედრიაო“—ჩიოდა თავადი ზაქარია.

დაშლისას ერთი თვალცრემლიანი მემამულე მივიდა ზაქარიასთან და სთხოვა: „ბატონო, თქვენ მიბრძანდებით და ჩვენ რაღა გვეშველებაო?!“ თავადმა დაამშვიდა და უთხრა: როცა საქმე გაგიჭირდეთ, მაზრის უფროსს მიმართეთო.

არ ვიცით, როგორ გათავდება საქმე. ორივე მხარე დიდ უარზეა. არც ერთი არ აპირობს დათმობას—არც გლეხობა, არც მემამულენი. კურდღელაურში ორი მემამულე სიამოვნებით დაუთმობს, მაგრამ სხვებისა ეშინიათ.

სოსია.

—

ჭყვიშის საზოგადოება (ლეჩხუმის მაზრა). გლეხებსა და ერთ ნაწილ თავად-აზნაურებს შორის ურთიერთობა თანდათან მწვავდება. აქაურ მემამულეთა დასახმარებლად მოსავლის აღების დროს გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ჭყვიშის საზოგადოებაში კაზაკები ჩაგვიყენეს, რამაც გლეხები ძლიერ აღელვა. ახლად მოსულ კაზაკებს და ადგილობრივ აღმასის ნაწილის ბოქაულს ყოშხელმა თავადმა გრამიტონ ფარნაოზის ძე გელოვანმა სადილი გაუმართა, რის შემდეგაც, როგორც ამბობენ, დაატუსაღეს არეულობის ვითომდა მოთავე, მოხუცებული გლეხი ივანე სალუქვაძე, ძრიელ სცემეს, მერე დაჯდენ ქვეშ გამოკრულ ჯოხზე ხელები ნიდაყვებით ამოუკრეს და ამ გვარად შეკრული სადამოდან დილამდე გელოვანის სახლში დააგდეს, სადაც მას დამცინავის ღიმილით თურმე ჩასძახოდნენ: „მალე შენს თანამოაზრეთა მაგვარის ტანჯვითაც „დავსტკბებითო“.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ გრამიტონის მეუღლეს მჭადიც კი არ მიუცია ტუსაღისათვის.

ივანეს დაჭერის მეორე დღეს მაზრის უფროსი მოვიდა, შეკრებილ გლეხობას გრძნობიერი სიტყვებით წესიერების დაცვის წინადადება მისცა, დატუსაღებული ივანე უდანაშაულოდ იცნო და გაანთავისუფლა, ხოლო მის ჯალათებს კი, უდანაშაულო ადამიანის წამებისათვის, სამართალში მიცემას დაემუქრა. განთავისუფლების შემდეგ ივანე რომ ხალხში გაერია, ტირილი აუვარდა, ატირდა ხალხიც.

მაზრის უფროსის ლმობიერებამ ხალხზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და სწამთ კიდეც, რომ ის მიუდგომელი მოსამართლე და მართებულად მოექცევა ყველა იმათ, ვინც ასე უწყალოდ მოექცა მოხუცს, წელში მოხრილ ივანეს.

ქიმტ გაკრული.

—

სოფელი ნიაბი (გორის მაზრა). 21 ივლისი. აქ ზოგიერთი მემამულეთაგანი და გლეხ კაცნი შეთანხმდნენ მამულების შესახებ. ეს ურთიერთ-შორის მორიგება და გლეხ-კაცთა დაკმაყოფილება, მათდა მოთხოვნილებისამებრ, სრულიადაც არა ყოფილა გამოწვეული რაიმე ძალდატანებით ანუ ბოიკოტების გაკეთებით. აქ მხოლოდ სრულის თანაგრძნობით დაუთმეთ მამულის მშრომელთ ის, რაც, მართლაცდა რომ ეკუთვნოდათ და შეერგებოდათ კიდეც.

ის მუშა, რომელიც დღე და ღამე ჩაბღუის მიწას და მაღლად რწყავს თავისი მწარე ოფლით, დღემდისინ იმდენ საზრდოს ვერა ღებულობდა, რომ ცარიელი ლუკმითაც არის ყოფილიყო მისი კუჭი მაძღარი. რაც შეეხება ტანთ-საცმელს ანუ სხვა რაიმე მოთხოვნილებას, ამაზე მეტია რაიმე ლაპარაკი, რადგან ამას იგი ყოველთვის იყო და არის მოკლებული. ეს შეთანხმებული და დამთმობი პირები ეკუთვნიან ძალიან მცირე მემამულეთ.

დათანხმებულ იქმნენ აგრეთვე მეტეხლები და ასაირელები სამალახვრო მამულებში ზოგიერთ მამულების პატრონებისაგან, არის ჯერეთ გაუთავებელი საქმე და ჯახუი ახალქალაქში მემამულეთა და გლეხთა შორის. ამჟამად აქ იმყოფებიან გორის მაზრის უფროსის თანაშემწეობის დროებით აღმასრულებელი ბ. გოგოხია და ხიდისთავის ნაწილის ბოქაული თ. ურალაშვილი, რომელნიც ყოველ ღონის-ძიებას ხმარობენ, რომ ურთიერთ-შორის სიმშვიდე და კმაყოფილება ჩამოაგდონ.

დრო არის, დრო, რომ თავად-აზნაურობამ დაუხმოს თავის გულს და განაღვიძოს კეთილ-შობილური გრძნობანი; დროა შეიგნოთ, რომ ჩვენი თანამოძმე გლეხები არ არიან ბოროტ-შობილნი და იმათაც ესაჭიროებათ ქვეყნის მზერა.

დათიკო.

წერილები რედაქციის მიმართ

I

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მკითხველებს მოვახსენო შემდეგი: 20 ივლისს, ნაშუადღევის 3½ საათზე, ჩამოვხტი მატარებლიდან ქარელის სადგურზე და შევედი უფროსთან გაზეთების გამოსართმევად. შესვლისათანავე თან შემომყვა სამი შეიარაღებული რაინდი; როგორც მერე გამოირკვა, ესენი ყოფილან: დავით კირილეს ძე, ვასილ და მიხეილ ციციშვილები. ჯერ სადგურის უფროსს არც კი დაველაპარაკებოდი, რომ ერთი მათგანი, სახელდობრ ვასილ ციციშვილი, წამომიწყდა და თავისკენ მიმაბრუნა, ხოლო მეორემ დავით კირილეს ძემ, მოქმედებით შეურაცყოფა მომაყენა. მოკრივეები ამას არ დასჯერდნენ და დაიწყეს მიწევ-მოწევა, რის გამოც დიდი არეულობა მოხდა. მე იმდენად გამაოცა ასეთმა უსაფუძვლო და საზიზღარმა საქციელმა, რომ ვეღარა მოვახერხე-რა; მალე გულშემატკივარი გამომიჩნდა, სადგურის უფროსი ვასილ თუხარელი, რომელმაც, დაინახა თუ არა, რა საფრთხეც მომელოდა, გამიყვანა მეორე ოთახში და იქ ჩამკეტა. რაც შეეხება მოჩხუბრებს, ისინიც სადგურის უფროსის თანაშემწემ გაიყვანა კარში და აგრეთვე კარები ჩაუკეტა. ამით გამწვავებულმა თავადებმა იშიშვლეს ხანჯლები და დაუწყეს შუშებსა და კარებს მტვრევა. თანაც გვემუქრებოდნენ, როგორც მე, აგრეთვე სადგურის უფროსის თანაშემწეს. როდესაც კარგად აიოხრეს სადგური, ვასილ თუხარელმა დასამშვიდებლად გმირები თავისთან წაიყვანა.

მართალია, სადგურის უფროსი და კაზაკთა აფიცერი ამ დროს აქ დაესწრნენ, მაგრამ გაშმაგებულ თავადებთან ვერა გააწყეს-რა.

ერთის საათის შემდეგ, გამარჯვებული თავადები შინ წასულიყვნენ და მეც დაკეტილ ოთახიდან გამანთავისუფლეს. ოთახიდან რომ გამოვედი, საშინელი სურათი წარმომიდგა თვალ-წინ: არეულ-დარეული სადგური, დამტვრეული შუშები და გაშტერებული ხალხი. მე ხალხს ვეკითხებოდი ამ ინციდენტის მიზეზს და ხალხი მე. ბოლოს გამოირკვა, რომ ეს ვაჟბატონები თავად-აზნაურთა მილიციის წევრები ყოფილან. მაგრამ ის კი არ მესმის, მე რად შეურაცხმყვეს? ნუ თუ სტუდენტის დანახვაც კი ბრაზს ჰგვრის ამ „ბრწყინვალე“ რაინდებს?

სტუდენტი ნესტორ კლიმიაშვილი

II

„ივერიის“ 21-სა და „ცნობის ფურცლის“ 22-ს ამა თვის ნომრებში ახალ ამბავთა შორის მოთავსებულია ცნობები: პირველი აცხადებს, თითქო ჩემზე გადმოცემული ორი მილიონის ქვის დაკვეთა, რომლის გამოც, ბამბუკის ქვის კარიერის შესაძენად, ქალაქმა 7800 მანათი გამოიმართვა, აღლოს ბ-ნს ენფიანჯიანცს და იარალოვისთვის გადაეცეს. —მეორე—„ცნ. ფ.“ აცხადებს: იარალოვი შეჰპირდა ქალაქს ქვას 11 კაპეიკად, ქალაქმა კი მე გადმომცა 12¼ კაპ. ორივე გაზეთების მოამბეთ შეცდომა აქვსთ. საქმე, აი, როგორ იყო და არის:

ამ ორი თვის წინად, როგორც საზღვარ გარეთიდან შემოტანილ გრანიტის ქვას, რომელსაც წინად სრულიად ბაჟი არ ჰქონდა, რუსეთის მთავრობამ ბაჟიც დაადო ფუთზე 9¼ კაპ. (ორი ქვა ერთი ფუთია). ამის გამო ქვა 108 მანათის ადგილას ქალაქს დაუჯდა 150 მანათად ათასი.

ქუჩების გაუმჯობესებულ სისტემით მომკირწყვლელ კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ხატისოვმა წინადადება მომცა: „მონახე კავკასიაში გრანიტის ქვა და, თუ ხელსაყრელ ფასებში დაგვიჯდა, შემოგიკვეთავთო“.

მეც საქმეს შევუდექი და, ერთის თვის განმავლობაში ვიპოვნე რამდენიმე კარიერი გრანიტის ქვისა. სხვათა შორის, დავათვალიერე გელათისა და ბამბუკის მადნებიც და, რაკი ამ ორი უკანასკნელი კარიერის ქვები უკვე ცნობილი და გასინჯული იყო, გავაკეთებიე ათ-ათი ქვა სანიმუშოდ და ჩემს მოხსენებასთან ერთად კომისიას წარვუდგინე. ეს იყო ამ ერთი თვის წინად. ჩემიან ერთად სხვა სამმა კაცმაც წარუდგინა კომისიას თავისი წინადადებანი. კომისიამ გაარჩია ეს წინადადებანი და ყველაზე უფრო სასარგებლოდ ჩემი წინადადება სცნო და დაადგინა: მოეცა ჩემთვის ორი მილიონი ქვის დაკვეთა კონტრაქტით. ორასი ათასი ქვის სანიმუშოდ დაკვეთა კი მაშინვე მომანდო.

აქ უნდა დავსძინო, რომ ქალაქი ჩემის წინადადებით სრულიად უსასყიდლოდ ხსნის კავკასიაში გრანიტის ქვების კარიერას და თვალ-საჩინო მატერიალურსა და ზნეობრივს სარგებლობასაც ხედავს, აი როგორ.

ჩემს წინადადებაში, და ან უკვე ქალაქთან შეკრულ პირობაში, აღნუსხულია: აიღოს ქალაქმა ტრამვაის უსახელო საზოგადოებისაგან 1.500,000 ცალი ქვის დაკვეთა, ამას შეუერთოს ქალაქისათვის საჭირო 500,000 ქვა და გადმომცეთ მე-12¼ კაპ. ამისათვის მე ვკისრულობ შემდეგ ხარჯებს: ვყიდულობ ქალაქისათვის ბამბუკის ქვის მადანს მისის მოიჯარადრის სეილანოვისაგან 7,800 მან. ვაარსებ კარიერებს ყოველგან, საცა ქალაქი სასარგებლოდ დაინახავს, ვაკეთებ ამ საქმისათვის პლატფორმებს, ტუპიკებს, ვაშენებ სამუშაო ბარაკებს და სხვა. და ამ ორი მილიონისა და ორასი ათასი ქვის ჩაბარების შემდეგ (ვადა 33 თვეა), ყველა ესენი გადადის ქალაქის ხელში სრულიად უსასყიდლოდ (ეს ხარჯები უდრის 15 ათას მანათს). გარდა ამისა, ვანთავისუფლებ ქალაქს იმ ბაჟისაგან, რომელიც მას უნდა გადაეხადა საზღვარ გარეთიდან შემოტანილ ქვაში (5,700 მანათი). გარდა ამისა, კიდევ ქალაქი ღებულობს ტრამვაის უსახელო საზოგადოებისაგან თითო ქვაზე 14 კაპ., მე კი მეძლევა, ყველა მოხსენებულ ხარჯებთან ერთად 12¼ კაპ.

აქედან, ვგონებ ცხადად სჩანს, რომ ჩემი წინადადება არა თუ უძვირესია იარალოვის წინადადებაზე (11¾ კაპ. იყო), არამედ ქალაქისათვის ბევრად უფრო იაფი და ხელსაყრელია.

რაც შეეხება იმას, თითქო ბ-ნ ტ. ა. ენფიანჯიანცს ჩემზე დამტკიცებული დაკვეთა იარალოვისათვის გადაეცეს, ეს არ მომხდარა. წინააღმდეგ, ბ-ნი ენფიანჯიანცი, დიდი ხანია, ფიქრობდა, რომ ქალაქს კავკასიაში საკუთარი კარიერი გაეხსნა და ახლაც ამ აზრით მეცადინეობდა და კიდევაც სავსებით მიაღწია თავის მიზანს.

მმართველი-მოთავე ამხ. „გეორგიას“ ფირმისა, იასე რაპველი-მეხუზლა.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

26 ივლისი.

ტოკიო. იაპონიის ფლოტს გადაურჩენია და დაუტყვევებია „ოლდგამიის“ თოთხმეტი მეზღვაური. ორს აფიცერს მიუტოვებია დაზიანებული გემი და ნავით კამჩატკისკენ წასულა. მათი ბედი არავინ იცის. „ბაიანს“ პორტ-არტურიდან ბუქსირით გაგზავნიან იაპონიას 3 აგვისტოს. ერთის კვირის შემდეგ წავლენ თავის ორთქლით „პოლტავა“ და „პერესვეტი“.—ამბობენ, რუსები ძალიან ამაგრებენო ამურის შესართავს. ხაბაროვსკიდან და ნიკოლაევსკიდან ნარევი დივიზია გაიგზავნება მეციხოვნეთა გასაძლიერებლად. ამურის შესავალში ნაღმია ჩაყრილი.

ბერლინი, 25 ივლისი. რუსეთ-იაპონიის წარმომადგენელთა შეხვედრაზე ბევრი დეპეშები მოდის, ხოლო საქმის არსებითს მხარეს კი არ ეხებიან. მაგ., „ანცეიგერი“ იუწყება, რომ ვიტტე და კომურა, პირველ შეხვედრისას, გერმანულად ლაპარაკობდნენ, მერე კი თათბირი ინგლისურად ექმნებათო. ამავე გაზეთის აზრით, რაც უნდა საძნელო იყოს, ზავი მაინც ჩამოვარდება, რადგან ნიჭიერი რუზველტია ჩარეული და ეცდება, საქმე კეთილად დააბოლოვოსო.

ვლადივოსტოკი, 26 ივლისი. რუსებისა და ჩინელების გაძარცვისათვის ექვსი ხუნხუზი ჩამოაღრჩვეს.

ნიუ-იორკი. განკარგულება მიახდინეს, რომ რუსეთს უპირატესობა ეძლეოდეს ყველა ცერემონიაში, რადგან რუსეთის წარმომადგენელი ვაშინგტონში ელჩია, იაპონიისა კი—დესპანი. „ჰერალდი“ იუწყება, თუ მოლაპარაკება სასურველად არ დამთავრდება, რუზველტს სხვა სახსარიცა აქვს სახეში და ამ მოსაზრებით განუცხადებია სურვილი, რომ რწმუნებულთ ერთხელ კიდევ ინახულებს.

ხარბინი. თუმცა საქონლის ზიდვა შესუსტებულია, მაგრამ ხარბინის სავაჭროები სავსეა საქონლით. მეტად აწეულ ფასებს მაინც არ უკლებენ და უსაჭიროესი საგნები ხომ უფრო ძვირდება. გირვანქა ხორცი ათი შაურია. ოთახი 100 მანათზე ნაკლებ არ იშოვება. ამ გარემოებაში ცხოვრება შესაძლოა მხოლოდ იმიტომ, რომ მოხელეებს დიდი ჯამაგირი ეძლევათ. აქაური კომერსანტები და ჩარჩები კი მდიდრდებიან.

ნიუ-იორკი. ბარონ როზენი და იაპონიის რწმუნებულნი დღეს დილით ნიუ-იორკიდან წავიდნენ გემებით. ვიტტე დღეს საღამოს ბოსტონიდან წავა და პორტსმუტს მოვა სხვა დელეგატებზე ბევრით ადრე.

აომორი, 26 ივლისს აქ მოიყვანეს რუსის აფიცრები, რომლებიც ჩრდილო სახალინზე დაატყვევეს. იმათ გაგზავნიან ხიროსს, აკიტსა და სინდაის. დაბალ ჯარის კაცებს ნარშინოს წაიყვანენ. ხვალ ასი ტყვე მოვა სამხრეთ-სახალინიდან. ხვალ მიკადოს საგანგებო შიკრიკი მიდის ამორს იაპონელ ჯართან, სახალინზე.

ტოკიო. რუს კატორღელებს როგორც ამბობენ, რუსეთის ნაპირს გადაიყვანენ და რუს მოხელეებს ჩააბარებენ; დატყვევებულ ჯარის კაცებს კი იაპონიისაკენ გაგზავნიან.

ბოსტონი, 26 ივლისი. ვიტტე და საფინანსო აგენტი ვილენკინი ჰარვარდის უნივერსიტეტში იყვნენ. აქედან ისინი საზღვაო კურორტ „მონგოლია“-ში წავიდნენ.

კოუსი, 26 ივლისი. ნაშუადღევს საფრანგეთის ესკადრა, 18 გემისაგან შემდგარი, კაიარის უფროსობით, ნავთსადგურში შემოვიდა. ინგლისის ფლოტი და სანაპირო ბატარეები სალუტით მიესალმა. გემები დროშებითაა შემკული, მათ შორის გერმანიის იმპერატორის გემიც. კაიარი დაუყოვნებლივ გაემართა სამეფო გემისაკენ. საღამოს ამ გემზე სადილი გამართეს. მეფემ პრეზიდ. ლუბეს სადღეგრძელო დალია და სიამოვნება განაცხადა საფრანგეთის ესკადრის მოსვლის გამო და დაუმატა: „იმედი მაქვს, ბრიტანიის წყლებში თქვენი მოსვლა განამტკიცებს ორისავე ერის კეთილ-განწყობილებას. მრწამს, რომ არსებითი სარგებლობა იქნება—მშვიდობიანობის დაცვა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კეთილ-განწყობილება საფრანგეთისა და ინგლისის ხალხს შორის უფრო განმტკიცდება“.

სტოკჰოლმი. მეფე ოსკარი აცხადებს,—ექიმთა რჩევით, დასასვენებლად მივდივარ კურორტებზე და სახელმწიფოს მართვა-გამგეობას ჩემს მემკვიდრეს ვანდობო.

პეტერბურგი. ჟანდარმთა შტაბი აცხადებს,—სიცრუეა გაზეთების-მიერ გავრცელებული ცნობები, ვითომც სამარაში ქაღალდის და ოქროს ფულით სავსე ყუთები დაეჭიროთ, წითელის ჯვრის კუთვნილებათ.

პეტერბურგი. როგორც გაზეთები იუწყებიან, განზრახულია დაარსდეს ყველა წოდებათა საერთო ბანკი. სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკები უნდა შეაერთონ.

მომავალ რეფორმის წარდგენის უკანასკნელ ვადად დანიშნულია 1-ლი აგვისტო.

განზრახვა აქვთ, გურია-სამეგრელოს ეპარქია საქართველოს საეგზარხოსოს დაუქვემდებარონ, როგორც მესამე სავიკარიატო.

ოქტომბერში მოიწვევენ საერობო დაწესებულებათა შესახებ დებულების გადამსინჯველ საბჭოს.

როგორც ისმის, ფინანსთა მინისტრის წინადადება მიეცა ყველა მინისტრსა და განსაკუთრებულ განყოფილებათა მთავარ-გამგეთათვის,—მომდევნოზე სახელმწიფო საბჭოში წინადადება შეიტანოთ სახელმწიფო სამსახურში მყოფ მოხელეთა შტატის შემცირების შესახებ, რადგანაც ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად გადადებული ფული ბევრით უნდა შემცირდეს და მოხელეებსაც ჯამაგირები უნდა მოაკლდეთო.

ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ჰქონდათ ქალაქის ყველა კომისიის წევრებსა და თავმჯდომარეებს და ქალაქის გამგეობას სამუშაო დღის გამო სარკვევად. დაადგინეს, სამუშაო დღე 8—10 საათზე მეტს არა გრძელდებოდეს.

სმოლენსკი, 25 ივლისი. რადგან სავალდებულო დაზღვევაზე ტარიფი მოუმატეს, დაზღვევის გადასახადების შეტანაზე ძალიან ბევრი გლეხი აცხადებს უარს. დაზღვეულ მამულების ნედოიმკებში გასასყიდად დანიშნულ საჯარო ვაჭრობაზე მყიდველები არ მოდიან. ამის გამო სახაზინო პალატის გამგემ შესაფერის განკარგულებისათვის გარდასახადთა დეპარტამენტს მიმართა.

დიმიტროვსკი, 25 ივლისი. მოსკოვის ერობის სამმართველოს თავმჯდომარე გოლოვინი მოსკოვში გაიწვიეს, რომ პეტერბურგიდან ჩამოსულ სენატორს მოხსენება წარუდგინოს.

პეტერბურგი, 25 ივლისი. ტიმირიაზევის თავმჯდომარეობით მომხდარი კრება ნავთის წარმოების შესახებ დასრულდა. ნავთის საწარმოვო ადგილების გაფართოებისა და საიჯარო პირობების შესახებ აღძრული საკითხები სექტემბერში განზრახულ ნავთის მწარმოებელთა საგანგებო კრებას გარდაეცემა.

პიატიგორსკი, 26 ივლისი. ბუხარის ემირი თავის ამალით იალტაში გაემგზავრა.

ნოვოროსიისკი, 26 ივლისი. კავკასიის ნამესტნიკმა საჭიროდ დაინახა, რომ 24 ივლისიდან ნოვოროსიისკში გაძლიერებულ დაცვის წესები იქმნას შემოღებული.

ბათუმი, 25 ივლისი. ნოვოროსიისკიდან სახალხო და ტვირთ-მზიდავი გემები უკვე მოდიან.

სტამბოლი, 25 ივლისი. აფეთქების გამო 11 უცხოელი და 33 ოსმალო დაატუსაღეს.

ვორონეჟი, 26 ივლისი. სამი დღეა, რაც აქ გაძლიერებული ცეცხლია. დღეს, დილის 10 საათზე, ბურას მოედანზე ბევრი სახლები და შენობები გადაიწვა. ეტყობა, რომ ცეცხლს ბოროტ-მოქმედთა ორგანიზაცია აჩენს. ცეცხლის დროს სამი ქურდი შეიპყრო ხალხმა და ძალიან სცემა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათ... ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. ს. 11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპნიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ)

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მე-3, 4 და 5 საპოლიციო უბნებში საჭიროა ქალაქის სამკურნალოსთვის 25—30 ოთახიანი სადგომი. ვისაც სურვილი აქვს თავისი სახლი ზემო-დასახელებულ სამკურნალოსათვის გააქირაოს, უმორჩილესად ვთხოვთ, თავისი პირობები წერილობით წარმოუდგინოს ქალაქის გამგეობას არა უგვიანეს 15 აგვისტოსი. (3—2)

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1. **ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა**, 2. **საზოგადო სავაჭროსა**, 3. **ბანკისას**, 4. **კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსია)**, 5. **ფინანსიურ გამოანგარიშებასა**, 6. **არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით**, 7. **კომერციულ კორესპონდენციასა**, 8. **ვაჭრობის ისტორიასა**, 9. **ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.**

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირაუქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა მსურველთ უფასოდ ეძლევათ და გაეგზავნებათ.

(15—8) ალ. გ. საათაშვილი.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 26 іюля 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.